პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 19 (10105)

კვირა, 23 იანვარი, 1955 წ.

ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

სოციალისტური ეკონომიკა ახალი აღმავლობის გზაზე. — „პრავდის“ 22/I მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება (1-ლი გვერდი).
საოლქო წინასაარჩევნო თათბირები (1-ლი გვერდი).
რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები) (მე-2 და მე-3 გვერდი).
ფელეტონი. — ა. სხვაველი. — გვარის დასახელებით... (მე-3 გვერდი).
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — ნ. ორდუბანელი. — მოგონებანი დიდ რუს ხელოვანზე (მე-3 გვერდი).
კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის გახსნა (მე-3 გვერდი).
გ. ძნელაძე. — მოლდავეთის საგუნდო კაპელა „დოინა“ თბილისში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## სოციალისტური ეკონომიკა ახალი აღმავლობის გზაზე

გუშინ გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1954 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ეს შედეგები მოწმობენ სოციალისტური ეკონომიკის განუხრელ ზრდას, ცხადყოფენ, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა წარმატებით სრულდება, ხოლო სახალხო მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში გადაჭარბებით სრულდება.

სსრ კავშირის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1954 წლის გეგმა 103 პროცენტით შეასრულა. 1953 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქცია 13 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1950 წელთან შედარებით — 65 პროცენტით.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, რომ 1954 წელს გრძელდებოდა ზრდა მძიმე მრეწველობისა, რომელიც მთელი საბჭოთა ეკონომიკის, ხალხის კეთილდღეობის გაუთჯობესების, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველია საფუძველია. ლითონნის წარმობის, ქვანახშირისა და ნავთობის ამოღების, ელექტროენერგიის, მანქანებისა და მოწყობილობის, ქიმიური ნაწარმის წარმოების გაზიდებამ უზრუნველყო მრეწველობის ყველა დარგის პროდუქციის, მათ შორის სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა.

გასულ წელს რამდენიმე გაუთჯობესდა მოწყობილობის გამოყენება მრეწველობაში. გრძელდებოდა მუშაობა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დასანერგავად. ფართოვდება წარმოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. შრომის ტექნიკური შეიარაღების ზრდისა და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების შედეგად შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1953 წელთან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით და მშენებლობაში — 8 პროცენტით.

საბჭოთა კავშირში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ატომის ენერგიის გამოყენების მშვიდობიანი მიზნით. ეს დიდი და კეთილშობილური ამოცანა წარმატებით რომ სრულდება, ამას ცხადყოფს ის, რომ 1954 წელს ამუშავდა ატომის ენერგიის პირველი სამრეწველო ელექტროსადგური, რომლის მარგი სიმძლავრე 5 ათასი კილოვატია.

განვლილი წელი იყო წელი, როცა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა წარმოებდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის გაშლილი პროგრამის განხორციელებისათვის, პროგრამისა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავეს. უკრაინის სამხრეთ ნაწილში და ვოლგისპირეთის რაიონებში ამინდის არახელსაყრელი პირობების მიუხედავად, მარცვლეულის ფაქტიური მოსავალი, აგრეთვე მარცვლეულის დამზადება და შესყიდვა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მეტი იყო, ვიდრე 1953 წელს. სოციალისტური სოფლის მეურნეობის უდიდესი მიღწევაა ის, რომ წარმატებით სრულდება პარტიისა და მთავრობის დავალებანი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ.

სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის საფუძველზე უმჯობესდება ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობა და მაღლდება მისი კულტურული დონე. მეხუთე ხუთწლედის დავალება საქონლებრუნვის განვითარების დარგში ვადამდე, ოთხ წელიწადში შესრულდა. ისევე როგორც წინა წლებში, სსრ კავშირში 1954 წელს არ იყო უმუშევრობა, ხოლო სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა 1953 წელთან შედარებით 2 მილიონით გადიდდა და ახლა დაახლოებით 47 მილიონს შეადგენს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე გადიდდა, ხოლო მოსამსახურეთა რაოდენობა დაწესებულებებში შემცირდა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ნაწილის უშუალოდ წარმოებაში გადაყვანასთან დაკავშირებით.

1954 წელს ნაციონალური შემოსავლის 11 პროცენტით გადიდებამ, სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შემცირებამ, ღონისძიებებმა, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სოფლის მეურნეობის დარგში, უზრუნველყვეს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა და გლეხთა შემოსავლის შემდგომი გადიდება. მარტო სხვადასხვა შეღავათმა და დახმარებამ მოსახლეობისადმი სახელმწიფოს ხარჯზე წლის განმავლობაში შეადგინა 146 მილიარდი მანეთი. გაფართოვდა სასწავლებლების, სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენებულია საცხოვრებელი სახლები, რომელთა საერთო ფართობი 32 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტია, 470 ათასი ახალი საცხოვრებელი სახლი აშენდა სოფელ ადგილებში.

საბჭოთა ხალხი უდიდესი კმაყოფილებით და თავისი მშვიდობიანი შრომის შედეგებისათვის დიდი პატრიოტული სიამაყით შეხვდა ცნობას 1954 წლის სახალხო-სამეურნეო შედეგების შესახებ. ამასთანავე საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში არის უდიდესი გამოუყენებელი რეზერვები.

წლითიწლობით ვერ ასრულებს გეგმას სატყეო მრეწველობის სამინისტრო. ვერ შეასრულეს 1954 წლის გეგმა თევზის მრეწველობისა და ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროებმა. ზოგიერთმა სამინისტრომ შეასრულა საერთო პროდუქციის გეგმა, მაგრამ ვერ შეასრულა ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების დავალება. მთელ რიგ სამინისტროებში დაშვებულია სახელმწიფოსათვის საზიანო პრაქტიკა, როცა გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს არადფიციტურ ნაკეთობათა დარგში და ამავე დროს ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმებს. მოწინავე საწარმოებთან ერთად მნიშვნელოვანი რაოდენობით არიან ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, ნავთობსარეწები, რომლებიც დავალებებს ვერ ასრულებენ.

სერიოზული ნაკლია ბევრი საწარმოს არარიტმული მუშაობა. ეს იწვევს მუშებისა და მოწყობილობის მოცდენას, საზეგანაკვეთო მუშაობას და მასთან დაკავშირებულ უნაყოფო ხარჯებს, ხელფასის ფონდების გადახარჯვას, წუნის გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების გადიდებას.

მივაღწიოთ თვითეულ საწარმოში გეგმის შესრულებასა და რიტმულ მუშაობას — ეს იმას ნიშნავს რომ ავამოქმედოთ სოციალისტური წარმოების შემდგომი ზრდის უდიდესი რეზერვები. მაგრამ ამით რეზერვები არ ამოიწურება. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, კერძოდ, საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების გასაუმჯობესებლად. ქვანახშირის მრეწველობაში, განსაკუთრებით დონბასში, საკმაოდ არ იყენებენ შახტების დაპროექტებულ სიმძლავრეებსა და სამთო ტექნიკას. ნავთობის მრეწველობაში ურიგდებიან ბურღვის მოწყობილობის მნიშვნელოვან მოცდენას, მანქანათმშენებლობაში — ჩარხების პარკისა და სამეჯლო-საწნეხი მოწყობილობის მოცდენას, სატყეო მრეწველობაში დამაკმაყოფილებლად ვერ იყენებენ მექანიზმებს ხე-ტყის დამზადებაზე.

საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ახალი ტექნიკის ბეჯითად და გეგმაშეზომილად დანერგვა. როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობიდან ჩანს, 1954 წელს დიდი მუშაობაა გაწეული ახალი ტექნიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში მისი დანერგვისათვის. მაგრამ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, ჩამორჩენაა მსოფლიო ტექნიკის თანამედროვე დონის შესაბამისი ახალი ეკონომიური და დიდი წარმადობის მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავებასა და დანერგვაში. ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია, და მას გადაჭრით უნდა მოვუღოთ ბოლო.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო დარაზმულ ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი 1955 წელს ახალი წარმატებანი მოიპოვოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. გადაჭრით უკუაგდებს რა ყოველივე ჩამორჩენილს, მოძველებულს, გულმოდგინედ ნერგავს რა ახალს, მოწინავეს, შეჯიბრების მილიონობით მონაწილე თავისი შემოქმედებითი აქტივობითა და ინიციატივით უზრუნველყოფს იმას, რომ გამოავლინოს და ათვისებინოს საწარმოების სულ ახალი რეზერვები. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა მტკიცედ მიდის წინ მძლავრი აღმავლობის გზით. ამით საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს კომუნისტური პარტიის მიერ დასახულ დიდ ისტორიულ ამოცანას — სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის ამოცანას.

„პრავდის“ 22/I მოწინავე.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. ვ. ა. კარპინსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. ვ. ა. კარპინსკის დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და რევოლუციურ მოძრაობაში მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ვიაჩესლავ ალექსის ძე **კარპინსკი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 18 იანვარი.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მწერალ ვ. ლ. ვასილევსკაიას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მწერალ ვ. ლ. ვასილევსკაიას დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და მხატვრული ლიტერატურის დარგში მისი დამსახურების აღსანიშნავად ვანდა ლევის ასული **ვასილევსკაია** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

მოსკოვი, კრემლი. 1955 წლის 21 იანვარი.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება

საქართველოს მშრომელებმა დიდი აღმავლობით დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, მოწინავე მუშები, სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელნი, ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელისა და სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად არბოშიკის № 155 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, ყურძნის უხვი მოსავლის ოსტატი სოციალისტური შრომის გმირი **მატრონა დავითის ასული ალავერდაშვილი.** სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეებმა და დაბა წითელწყაროს მშრომელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წითელწყაროს № 154 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანი **ირაკლი ვლადიმერის-ძე ბერძენი.** სოფლების ზემო ქედისა და ქვემო ქედის კოლმეურნეებმა დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **დავით კონსტანტინეს-ძე ნატროშვილი.**

ლენტეხის რაიონის სოფლების ველიერისა და ჯახუნდერის კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლენტეხის № 224 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის მდივანი **ვახტანგ კონსტანტინეს-ძე დავითულიანი.**

სოფელ ყიზილქილისის 26 კომისრის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დმანისის № 105 საარჩევნო ოლქში დაასახელეს მოწინავე მერგოლური **ნანა ხანუმ მადათ ყზი სამედოვა.** სოფელ გომარეთის კოლმეურნეთა კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქში დაასახელეს დმანისის მტს-ის დირექტორი **რაუდენ დარისპანის-ძე მიროტაძე.** სოფელ ამამლოს კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამამლოს № 107 საარჩევნო ოლქში დაასახელონ დმანისის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **აბას რიზას-ძე აღაევი.**

ხაშურის რაიონის სოფელ ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის წევრთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ხაშურის ლენინის საქალაქო № 81 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი** და სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური **ნადია იაგორის ასული მახარაშვილი.** სოფელ ალის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა დეპუტატობის კანდიდატებად ალის № 86 საარჩევნო ოლქში დაასახელეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ანასტას ივანეს-ძე მიკოიანი** და საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის მდივანი **დიმიტრი ანდრიას-ძე ქვლივიძე.** რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან აგრეთვე ხაშურის რკინიგზის კვანძის ლიანდაგის მერვე დისტანციის ბრიგადირი **ილია პავლეს-ძე ბარბაქაძე,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ევგენი კირილეს-ძე ხარაძე,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი,** საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის მინისტრი **გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე.**

სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხნის კოლექტივმა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კასპის № 62 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ქარხნის დირექტორი **ვახტანგ იოსების-ძე პაპიაშვილი.** სოფელ კავთისხევის კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად კავთისხევის № 65 საარჩევნო ოლქში დაასახელეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე **გივი ილიას-ძე შარაშიძე.** სოფელ ხოვლეს კოლმეურნეთა წინასაარჩევნო კრებამ დეპუტატობის კანდიდატად ყარაღაჯის № 66 საარჩევნო ოლქში დაასახელა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის მდივანი **გაბრიელ ისაკის-ძე კეჩხუაშვილი.** სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქვემო ჭალის № 64 საარჩევნო ოლქში დაასახელეს კასპის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **არტაშ ესტატეს-ძე ბასიაშვილი.** (საქდესი).

## რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წლის 22 იანვრის ბრძანებულებით დაადგინა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი თავისუფლდება ძირითადი სამუშაოსაგან 1955 წლის 29 იანვრიდან 1 მარტამდე და ენახება ჩელფასი ძირითადი სამუშაოს ადგილას.

21 იანვარს თბილისის ლენინის რაიონის მშრომელებმა გვირგვინებითა და ცოცხალი ყვავილებით შეამკეს კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ძეგლი, რომელიც აღმართულია პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბის ბაღში. ფოტო ვ. გინზბურგისა.

## საოლქო წინასაარჩევნო თათბირები

ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ძერჟინსკის № 28 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი. თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა პროფესორმა ა. ბარამიძემ, საქართველოს ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერმა თანამშრომელმა შ. ხანთაძემ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ა. მელაძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათი კოლექტივების კრებებზე ამომრჩევლებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ძერჟინსკის № 28 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, მიხეილ გიორგის-ძე პერვუხინი** და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე.** მათ შეკრებილებს მოუწოდეს მხარი დაუჭირონ ამ კანდიდატთა დასახელებას.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის დასახელებულ კანდიდატებს ამხანაგებს გ. მ. მალენკოვს, ნ. ა. ბულგანინს, მ. გ. პერვუხინსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ა. ი. ჯანელიძეს სთხოვს დათანხმდნენ კენჭი იყარონ ძერჟინსკის № 28 საარჩევნო ოლქში. თათბირმა აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დიდუბის № 8 საარჩევნო ოლქის მშრომელების წარმომადგენელთა ხალხმრავალი წინასაარჩევნო თათბირი გაიმართა თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის კლუბში.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივის წარმომადგენლებმა — საწარმოს დირექტორის მოადგილემ ვ. ჯავახაძემ, ოსტატის თანაშეწყემ ნ. ხარიტონაშვილმა, საქსოვი წარმოების მოსამზადებელი საამქროს უფროსმა ი. კირაკოსოვმა, თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის საგზაო მშენებლობის სამმართველოს მუშაკმა თ. რევაზიშვილმა, მანქანის დეტალების ქარხნის ხისდამუშავებელი საამქროს უფროსმა პ. რიბჩენკომ, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი საწარმოების კოლექტივებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დიდუბის № 8 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი** და თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის წარჩინებული მქსოველი **მარიამ ივანეს ასული რაზმაძე.**

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ კანდიდატურებს და სთხოვეს ამხანაგებს გ. მ. მალენკოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ლ. მ. კაგანოვიჩსა და მ. ი. რაზმაძეს დათანხმდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარონ დიდუბის № 8 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების პეტრიწის № 19 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშამ შ. მეზვერიშვილმა, ამავე ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა ა. ხმალაძემ და სხვებმა, რომლებმაც შეკრებილებს მოუწოდეს ერთსულოვნად დაუჭირონ მხარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგ **მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვის** და ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსის მოადგილის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის **კირიაკ სამსონის-ძე ზავრიევის** დასახელებას.

საოლქო თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელშიც სთხოვს დასახელებულ კანდიდატებს დათანხმდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყარონ ამ საარჩევნო ოლქში.

ბევრი ხალხი შეიკრიბა წყალსადენის სახელოსნოთა კლუბში, სადაც გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საბჭოთა № 21 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს მე-16 პოლიკლინიკის ექიმმა ი. ვეტოშნიკოვმა, 36-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა მ. ღვინიაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო კრებებზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად საბჭოთა № 21 საარჩევნო ოლქში დასახელებული არიან ამხანაგი **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი** და ქალაქ თბილისის 36-ე საშუალო სკოლის პედაგოგი **ნინო ალექსანდრეს ასული გამცემლიძე.**

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა მხარი დაუჭირა ამ კანდიდატებს.

თათბირმა მიიღო მიმართვა ამომრჩევლებისადმი და აირჩია ნდობით აღჭურვილი პირები.

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ნასაკირალის № 45 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო თათბირი.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სომხური დრამატული თეატრის მთავარმა რეჟისორმა ფ. ბეიკიანმა, ძაფსართავი ფაბრიკის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ცინცაძემ, თბილისის კერამიკის კომბინატის მექანიკური საამქროს უფროსმა ი. ჟილოვმა და სხვებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი კოლექტივების კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ნასაკირალის № 45 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, მაქსიმე ზაქარიას-ძე საბუროვი, მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი,** აგრეთვე სომხური დრამატული თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **მარიამ გიორგის ასული ბეროიანი.**

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატურებს.

ქალაქ ჭიათურის სტალინის № 188 საარჩევნო ოლქის წარმომადგენელთა წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს პარტიული ბიუროს მდივანმა დ. ოტიაშვილმა, საბავშვო ბაღის გამგემ თ. ჩუბინიძემ, კაპიტალური მშენებლობის განყოფილების მექანიკოსმა ა. მგალობლიშვილმა და სხვებმა. მათ შეკრებილებს მოუწოდეს მხარი დაუჭირონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ამხანაგები **ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს** და სტალინის სახელობის მაღაროთსამმართველოს ნოვატორ მაღაროელს **ტრიფონ ვარდენის-ძე ფოფხაძეს,** რომლებიც დაასახელეს მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებმა.

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატურებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სილნაღის რაიონის ანაგის № 151 საარჩევნო ოლქში გაიმართა მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი. თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სოფელ ვაქირის აგიტპუნქტის გამგემ ე. ბაზერაშვილმა, აგიტატორმა კ. ვახტანგიშვილმა, სოფელ საქობოს კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ი. ჩახნაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ანაგის № 151 საარჩევნო ოლქში დაასახელეს ამხანაგები **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დავით ვასილის-ძე მჭედლიშვილი.**

საოლქო წინასაარჩევნო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურებს.

გორის საკონსერვო ქარხნის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ლენინის № 74 საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების საოლქო წინასაარჩევნო თათბირი. თათბირზე გამოვიდნენ საკონსერვო ქარხნის დირექტორი ლ. ხარატიშვილი, პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორი გ. თავაძე, ბამბეულის კომბინატის მშენებლობის პარტიული ბიუროს მდივანი ა. აბულაძე და სხვები, რომლებმაც განაცხადეს, რომ წინასაარჩევნო კრებებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ლენინის № 74 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელეს ამხანაგები **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე შატალინი, მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი** და გორის საკონსერვო ქარხნის მოწინავე ბრიგადირი **ეუეუნა სიმონის ასული ბერიძე.**

საოლქო წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი

## (თეზისები)*

### II.

7. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ბოლშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორე და სიცოცხლისუნარიანობა. სავსებით დადასტურდა ლენინის დებულება, რომ პროლეტარიატს შეუძლია ასრულებდეს და კიდევაც უნდა ასრულებდეს ხელმძღვანელ როლს რევოლუციურ მოძრაობაში. მუშათა კლასის ბრძოლა განსაზღვრავდა რევოლუციის მთელ განვითარებას, მის გაქანებასა და ფორმებს. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „...კაცობრიობამ 1905 წლამდე კიდევ არ იცოდა, თუ რა დიდი, რა გრანდიოზული შეიძლება იყოს და იქნება პროლეტარიატის ძალთა დაძაბვა, თუ საქმე იმას შეეხება, რომ იბრძოლოს ნამდვილად დიდი მიზნებისათვის, იბრძოლოს ნამდვილად რევოლუციურად!“ (თხზ., ტ. 23, გვ. 315).

ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნის პირობებში რუსეთის მუშათა კლასმა ცხადყო, რომ პროლეტარიატის ნამდვილი ძალა და როლი საზოგადოებაში განისაზღვრება არა იმით, შეადგენს თუ არა იგი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას, არამედ მისი რევოლუციური ენერგიით, პოლიტიკური შეგნებით, უნარით — სათავეში ჩაუდგეს ხალხის რევოლუციურ ბრძოლას, უნარით — რევოლუციის მოკავშირედ მიიმხროს გლეხთა მასები.

რუსეთის პროლეტარიატმა გააჩაღა მძლავრი საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც განუწყვეტლივ ძლიერდებოდა რევოლუციის აღმავლობასთან ერთად. მრეწველობის იმ მუშათა რიცხვმა, რომლებიც გაფიცვებში მონაწილეობდნენ, 1905 წელს თითქმის სამ მილიონს მიაღწია. საგაფიცვო მოძრაობის დამახასიათებელი ნიშანი იყო პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვების შეხამება. ორივე სახეობის გაფიცვების მჭიდრო და გაუყრელი კავშირი განსაკუთრებულ ძალას აძლევდა მუშათა მოძრაობას.

1905 წლის მაფხულის ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი რევოლუციური მოვლენა იყო ივანოვო-ვოზნესენსკის ცნობილი გაფიცვა, რომელიც ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მუშებმა გაფიცვის პირველსავე დღეებში შექმნეს თავიანთი რევოლუციური ორგანო — რწმუნებულთა საბჭო, რომელიც ფაქტიურად მუშათა დეპუტატების ერთ-ერთი პირველი საბჭო იყო რუსეთში.

მასობრივი პოლიტიკური ბრძოლის მაგალითი გვიჩვენეს ლოძის — პოლონეთის დიდი სამრეწველო ცენტრის ფეიერვერკელებმა. საყოველთაო გაფიცვა, რომელიც ლოძის მუშებმა 1905 წლის ივნისში გამოაცხადეს მუშათა კრების მონაწილეების სისხლიანი დარბევის პასუხად, გადაიზარდა ქუჩის საბარიკადო ბრძოლებად მეფის ჯარების წინააღმდეგ. ეს იყო პროლეტარიატის პირველი შეიარაღებული გამოსვლა რუსეთში. შეიარაღებული შეტაკებები ხდებოდა აგრეთვე ვარშავაში, ოდესაში, რიგაში, ლიბავასა და სხვა ქალაქებში.

8. 1905 წლის შემოდგომისათვის რევოლუციური მოძრაობა მთელ რუსეთს მოედო. მოსკოვისა და პეტერბურგის მუშების თაოსნობით 1905 წლის ოქტომბერში დაიწყო სრულიად რუსეთის პოლიტიკური გაფიცვა, რომელიც მოედო ყველა ძირითად სამრეწველო ცენტრს. ოქტომბრის გაფიცვა პროლეტარიატის მძლავრ პოლიტიკურ გამოსვლად გადაიქცა. იგი მიმდინარეობდა ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“. სრულიად რუსეთის გაფიცვის მონაწილეთა რიცხვმა ორ მილიონს გადააჭარბა. მასების შეტევის გამო მეფის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა 17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელშიც ფარისევლურად აღუთქვა მოსახლეობას სამოქალაქო თავისუფლებანი, საკანონმდებლო სათათბიროს მოწვევა. პროლეტარიატმა გმირული საგაფიცვო ბრძოლით თავისთვის და მთელი ხალხისთვის მოიპოვა, თუმცა მოკლე ხნით, სიტყვის, პრესის, პროფესიული კავშირებისა და სხვა ორგანიზაციების თავისუფლება, რომელიც რუსეთში წინათ უმაგალითო იყო; რუსეთის ისტორიაში პირველად დაიწყო რევოლუციური გაზეთების ლეგალურად გამოსვლა.

აღარზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთის პროლეტარული მასების რევოლუციურმა შემოქმედებამ შექმნა ახალი, მსოფლიო ისტორიაში წინათ უმაგალითო მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია — მუშათა დეპუტატების საბჭოები. საბჭოები გაჩნდნენ მოსკოვში, პეტერბურგში, ტვერში, კოსტრომაში, ლუგანსკში, ეკატერინოსლავში, სარატოვში, დონის როსტოვში, კიევში, ოდესაში, ნიკოლაევში, ნოვოროსიისკში, ბაქოში, კრასნოიარსკში, ჩიტაში და სხვა ქალაქებსა და მუშათა დაბებში. გაჩნდნენ რა როგორც საგაფიცვო ბრძოლის ხელმძღვანელი ორგანოები, მუშათა დეპუტატების საბჭოები გადაიქცნენ ახალი, რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახ ორგანოებად.

მენშევიკებისაგან განსხვავებით, რომლებსაც საბჭოები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებად მიაჩნდათ, ბოლშევიკებმა მაღალი შეფასება მისცეს მასების რევოლუციურ ინიციატივასა და თვითმოქმედებას. ვ. ი. ლენინს, ბოლშევიკებს მიაჩნდათ, რომ საბჭოები რევოლუციის მსვლელობაში უნდა გადაქცეულიყვნენ შეიარაღებული აჯანყების ორგანოებად, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოებად.

რევოლუციაში თვალსაჩინო როლი შეასრულეს მოსკოვის საბჭომ და მოსკოვის რაიონულმა საბჭოებმა, რომლებსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ და რომლებიც თანმიმდევრულად ახორციელებდნენ რევოლუციურ პოლიტიკას და შეიარაღებული აჯანყების ორგანოები გახდნენ. ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ რუსეთის მთელი რიგი სხვა ქალაქების საბჭოებსაც.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში მუშათა კლასმა პირველად დაიწყო თავისი პროფესიული კავშირების როგორც ფართო პროლეტარული ორგანიზაციების შექმნა. პროფკავშირები თავიდანვე იქმნებოდნენ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის უშუალო გავლენითა და ხელმძღვანელობით.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების პროფესიული კავშირებისაგან განსხვავებით, პროფკავშირები რუსეთში შეიქმნენ პროლეტარიატის პოლიტიკური პარტიის გაჩენის შემდეგ და ამ პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდნენ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლშევიკები სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფკავშირების მოწყობასა და განმტკიცებას. გადაჭრით იბრძოდნენ მენშევიკების ოპორტუნისტული გეზის წინააღმდეგ პროფკავშირების „ნეიტრალობის“ შესახებ, იბრძოდნენ მათი გადაქცევისათვის მუშათა კლასის მებრძოლ რევოლუციურ ორგანიზაციებად.

9. რუსეთის პროლეტარიატი გამოდიოდა როგორც ყველა მშრომელის ძირეული ინტერესების ყველაზე თანმიმდევრული გამომხატველი, როგორც საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა. „ჩვენი რევოლუციის ერთადერთი ბელადი, — წერდა ი. ბ. სტალინი, — რომელიც დაინტერესებულია და რომელსაც შეუძლია გაიყოლიოს რუსეთის რევოლუციური ძალები მეფის თვითმპყრობელობაზე იერიშის მისატანად, — პროლეტარიატია. მხოლოდ პროლეტარიატი დარაზმავს თავის გარშემო ქვეყნის რევოლუციურ ელემენტებს, მხოლოდ ის მიიყვანს ჩვენს რევოლუციას ბოლომდე“. (თხზ., ტ. 2, გვ. 65).

მუშათა მოძრაობის სწრაფი ზრდა დიდ გამოხმაურებას პოულობდა სოფლად, ხელს უწყობდა გლეხობის ფართო მასების რევოლუციური ბრძოლის გაჩაღებას. 1905 წლის განმავლობაში აღრიცხული იყო გლეხთა სამნახევარ ათასზე მეტი გამოსვლა. გლეხთა ბრძოლა მემამულეთა წინააღმდეგ თანდათან იღებდა სულ უფრო მწვავე ფორმებს. 1905 წლის შემოდგომაზე გლეხთა აჯანყება მოედო ცენტრალურ შავნიადაგიან რაიონს, ვოლგისპირეთს, უკრაინას, ამიერკავკასიას, ბალტიისპირეთს.

გლეხთა შორის რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლშევიკების აგრარულ პროგრამას, რომელიც ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა. ლენინური აგრარული პროგრამა „მოითხოვდა მემამულეების, საეკლესიო, სამონასტრო, საუფლისწულო და კაბინეტის მიწების კონფისკაციას და მთელი მიწის ნაციონალიზაციას. ბოლშევიკები ამ მოთხოვნებს აკავშირებდნენ მეფის თვითმპყრობელობის მოსპობასთან და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებასთან, მაშინ როცა მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკური პროგრამა ითვალისწინებდა მემამულურ-თვითმპყრობელური წყობილების მშვიდობიან, თანდათანობით რეფორმირებას. ბოლშევიკები მოუწოდებდნენ გლეხებს დაუყოვნებლივ დაეკავებინათ მემამულეთა მიწები, შეექმნათ გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, აქტიურად დაეჭირათ მხარი პროლეტარიატისათვის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბოლშევიკური ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სოფლის პროლეტარული და ნახევრადპროლეტარული ფენების დარაზმვას, რომლებიც ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდნენ გლეხთა მოძრაობაში.

ბოლშევიკები მტკიცედ იბრძოდნენ ესერების შემთანხმებლური ტაქტიკისა და პოლიტიკური ავანტიურიზმის წინააღმდეგ, ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან გლეხობის განთავისუფლებისათვის.

10. მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის და რუსეთ-იაპონიის ომში ცარიზმის დამარცხებათა გავლენით არმიასა და ფლოტში წარმოებდა რევოლუციური გამოსვლები, რომლებიც რევოლუციის შემადგენელი ნაწილი, მისი საყოველთაო-სახალხო ხასიათის დამადასტურებელი იყო.

რუსეთის პირველი რევოლუციის თვალსაჩინო მოვლენა იყო აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ (1905 წლის ივნისი). აჯანყებულმა მატროსებმა ხელში ჩაიგდეს დიდი სამხედრო ხომალდი და აშკარად გადავიდნენ რევოლუციის მხარეზე. აჯანყება „პოტიომკინზე“ ჩვენი ქვეყნის ხალხთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიის სახელოვანი ფურცელია.

შეფასებას აძლევდა რა პოტიომკინელების გმირობას, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა და, როგორიც უნდა იყოს მისი ბედი, ჩვენს თვალწინაა უეჭველი და უაღრესად საგულისხმო ფაქტი: **რევოლუციური არმიის ბირთვის** შექმნის ცდა“. (თხზ., ტ. 8, გვ. 667).

1905 წლის შემოდგომაზე მოხდა ჯარისკაცების გამოსვლები ხარკოვში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ვორონეჟში, პსკოვში, ვარშავასა და სხვა ქალაქებში. რევოლუციური მღელვარება მოედო ჯარის ნაწილებს შორეულ აღმოსავლეთში; აჯანყებებმა იფეთქა კრონშტადტში, ვლადივოსტოკში, სევასტოპოლში.

11. რუსეთის პროლეტარიატი თავისი რევოლუციური მაგალითით ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის აღაფრთოვანებდა რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელთა მასებს. საგაფიცვო ბრძოლის სიმტკიცით რიგის, ლოძის, ვარშავის, ბაქოს მუშები ერთ სიპატიო მწკრივში იდგნენ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშებთან. ეროვნულ რაიონებში ფართო გაქანება მიეცა გლეხთა მოძრაობას. ბალტიისპირეთში გლეხები ადგილებიდან ერეკებოდნენ მოხელეებს, ანადგურებდნენ გერმანელი ბარონების მამულებს, ეწეოდნენ მედგარ ბრძოლებს მეფის რეგულარული ჯარების წინააღმდეგ; უმაგალითო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში. ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობის შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი იყო.

რუსეთის პროლეტარიატი მხურვალედ უჭერდა მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას, გადაჭრით იბრძოდა იმ დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც ახორციელებდნენ ცარიზმი და გაბატონებული კლასები, რომლებიც ისწრაფოდნენ ჩაეშალათ რუსეთის ხალხთა რევოლუციური მოქმედების ერთიანობა. ბოლშევიკები შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდნენ ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, ზრდიდნენ მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, განუმარტავდნენ მათ, რომ ეროვნული ჩაგვრა შეიძლება მოისპოს მხოლოდ ყველა ეროვნების მშრომელთა ერთობლივი რევოლუციური ბრძოლის შედეგად.

12. რევოლუციის შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია საყოველთაო გაფიცვიდან რევოლუციური ბრძოლის უმაღლეს ფორმაზე — შეიარაღებულ აჯანყებაზე გადასვლის აუცილებლობა.

ასრულებდნენ რა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის გადაწყვეტილებებს, ბოლშევიკური ორგანიზაციები გულმოდგინედ ამზადებდნენ შეიარაღებულ აჯანყებას. პარტიის ბელადი ვ. ი. ლენინი, რომელიც საზღვარგარეთიდან პეტერბურგს დაბრუნდა 1905 წლის ნოემბერში, სათავეში ჩაუდგა პარტიის მოღვაწეობას მასებისადმი ხელმძღვანელობისა და შეიარაღებული აჯანყების მომზადების საქმეში. ლენინი ამხილებდა კონტრრევოლუციის გეგმებს და მოუწოდებდა პროლეტარიატს სიფხიზლე გამოეჩინა და წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლესი წერტილი იყო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც მომზადდა პროლეტარიატის მასობრივი გამოსვლებით მთელი 1905 წლის განმავლობაში.

ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დროშა პირველმა აღმართეს მოსკოველმა მუშებმა. მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ, რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, 7 (20) დეკემბერს გამოაცხადა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რათა იგი შეიარაღებულ აჯანყებად გადაექცია. მუშები გამოვიდნენ განსაკუთრებული ერთსულოვნებით. გაჩერდა ყველა საწარმო. 9 (22) დეკემბერს დაიწყო მოსკოველი მუშების საბარიკადო ბრძოლა მეფის მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. აჯანყების მთავარი კერები იყო პრესნია, ზამოსკვორეჩიე და როგოჟსკო-სიმონოვსკის რაიონი. შეიარაღებული მუშები ცხრა დღის განმავლობაში გმირულად ებრძოდნენ მეფის ჯარებს. ქუჩის საბარიკადო ბრძოლებში მონაწილეობდა რვა ათასამდე შეიარაღებული რაზმელი, რომლებსაც მხარს უჭერდა მუშათა მთელი მასა. აჯანყებას განსაკუთრებით მედგარი და გააფთრებული ხასიათი ჰქონდა პრესნიაში. მეფის მთავრობამ აჯანყების ჩასახშობად მოსკოვში შეიყვანა დიდი სამხედრო ძალები. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების მსვლელობაში მუშებმა გმირობის, მამაცობისა და თავგანწირვის სასწაულები ჩაიდინეს, ისინი ბოლომდე ინარჩუნებდნენ სიმტკიცესა და საბრძოლო სულისკვეთებას. „ჩვენ დავიწყეთ. ჩვენ ვამთავრებთ... სისხლი, ძალადობა და სიკვდილი გამოგვყვება კვალდაკვალ. მაგრამ ეს არაფერია. მომავალი მუშათა კლასს ეკუთვნის. თაობანი და თაობანი ყველა ქვეყანაში პრესნის გამოცდილებით ისწავლიან სიმტკიცეს“, — ნათქვამი იყო პრესნელი მებრძოლი რაზმების შტაბის უკანასკნელ ბრძანებაში.

1905 წლის დეკემბრის აჯანყებამ ცხადყო, რომ რევოლუციის 11 თვეში გიგანტურად გაიზარდა რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნება. თუ 1905 წლის იანვარში ათასობით მუშა ნდობით მიდიოდა ლოცვებით და საეკლესიო დროშებით მეფის სასახლისაკენ, რათა მეფისათვის ეთხოვა „ნამცეცი მოწყალება“, 1905 წლის დეკემბერში რუსეთის პროლეტარიატი იარაღით ხელში გმირულად იბრძოდა ბარიკადებზე ცარიზმის დასამხობად, დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება სასტიკად ჩაახშო ცარიზმმა. აჯანყების დამარცხების მთავარი მიზეზები ის იყო, რომ აჯანყებისადმი ხელმძღვანელობა ჩამორჩენოდა სტიქიურად მზარდ მოძრაობას. აჯანყება დაიწყო დაგვიანებით და ხელიდან გაშვებულ იქნა ხელსაყრელი დრო, როცა მდელვარება იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარისკაცთა ნაწილში. მას შემდეგ, რაც მეფის მთავრობამ დაიპატიმრა ბოლშევიკების მოსკოვის კომიტეტი, მოსკოვის შეიარაღებული აჯანყება გადაიქცა ერთმანეთისაგან გათიშული ცალკეული რაიონების აჯანყებად. აჯანყებისათვის მზადების პერიოდში არ შეუქმნიათ გაწვრთნილი შეიარაღებული რაზმები, მუშებს იარაღი აკლდათ.

მოსკოვის მუშათა შეიარაღებული აჯანყება ვერ გადაიქცა პროლეტარიატის ერთდროულ, ერთიან სრულიად რუსეთის გამოსვლად. ამის გამო მეფის მთავრობამ მოახერხა ჩაეხშო აჯანყება არა მარტო მოსკოვში, არამედ აგრეთვე სისხლში ჩაეხრჩო შეიარაღებული გამოსვლები დონბასში, ხარკოვში, კრასნოიარსკში, ჩიტაში, ნოვოროსიისკში, პერმში, სორმოვოში, ლატვიაში, ფინეთსა და სხვა ადგილებში. შეიარაღებული აჯანყების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე თავდაცვითი ტაქტიკა, რომელიც „შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია“ (მარქსი). აჯანყების დამარცხებას ხელი შეუწყო მენშევიკებისა და ესერების დეზორგანიზატორულმა საქმიანობამ.

შეფასებას აძლევდა რა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების გამოცდილებას, ვ. ი. ლენინი შემდეგში წერდა: „მსოფლიო ისტორიაში პირველად მიღწეულ იქნა განვითარების ისეთი სიმაღლე და რევოლუციური ბრძოლის ისეთი ძალა, რომ შეიარაღებული აჯანყება შეუერთდა მასობრივ გაფიცვას, ამ სპეციფიკურ პროლეტარულ იარაღს. ცხადია, რომ ამ გამოცდილებას მსოფლიო მნიშვნელობა აქვს **ყველა** პროლეტარული რევოლუციისათვის“ (თხზ., ტ. 31, გვ. 412).

13. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ რევოლუციაში დაიწყო მეორე პერიოდი, რომლის განმასხვავებელი ნიშნები იყო რევოლუციური ტალღის თანდათანობით შენელება და რეაქციის გაძლიერება.

დადო რა, ამერიკელი იმპერიალისტების ხელშეწყობით, სამარცხვინო ზავი იაპონიასთან, მეფის მთავრობამ თავისი ჯარების მთავარი ძალები გამოიყენა რევოლუციის ჩასახშობად. დამსჯელი ექსპედიციების, პოლიციის მიერ შექმნილი დამრბევთა შავრაზმული ბანდების, სამხედრო-საველე სასამართლოების; მასობრივად სიკვდილით დასჯის, მუშათა და გლეხთა ორგანიზაციების პოლიციური დარბევის საშუალებით ცარიზმი ცდილობდა მოესპო მუშათა კლასის რევოლუციური ავანგარდი და დაეშინებინა მთელი ხალხი. ათასობით რევოლუციონერი მებრძოლი დაიღუპა მეფის ჯალათთა ხელით.

მეფის მთავრობა ხალხებს ერთიმეორეს უსისხლიანებდა, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას და სხვ.

ცდილობდა რა გაეთიშა და შეესუსტებინა რევოლუციური მოძრაობა, მოეტყუებინა გლეხობა და ჩამოეცილებინა იგი პროლეტარიატისაგან, ცარიზმმა არჩია სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა. რუსეთის ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიები — კადეტები და ოქტობრისტები დაადგნენ მეფის მონარქიასა და მებატონე მემამულეებთან პირდაპირი შეთანხმების გზას, ეხმარებოდნენ ცარიზმს რევოლუციის ჩახშობაში.

მაგრამ ამ მძიმე პირობებშიც რევოლუცია გრძელდებოდა. პროლეტარიატი, რომელიც პირველი აღდგა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, უკანასკნელი იხევდა უკან ბრძოლებით. პროლეტარიატის მედგარი ბრძოლა, მასობრივი პოლიტიკური გაფიცვები, რაც კიდევ გრძელდებოდა, აკავებდნენ კონტრრევოლუციის შეტევას და რევოლუციურ მოძრაობაში აბამდნენ მის ყველაზე ღრმა რეზერვებს.

1906 წელს ფართოდ განვითარდა გლეხთა მოძრაობა. მან მოიცვა რუსეთის ყველა მაზრის ნახევარი. 1906 წლის ზაფხულში იფეთქა მეზღვაურთა აჯანყებებმა სევაბორგსა და კრონშტადტში.

14. რევოლუციის შენელების პირობებში ბოლშევიკებმა შეცვალეს თავიანთი ტაქტიკა. ცარიზმის წინააღმდეგ შეტევისათვის მასების უშუალო მომზადებიდან ბოლშევიკები გადავიდნენ ორგანიზებული უკანდახევის, ლეგალური და არალეგალური მუშაობის შეერთების ტაქტიკაზე.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ლენინმა შეიმუშავა სათათბიროს რევოლუციური ტაქტიკა, რაც ძირეულად განსხვავდებოდა მენშევიკებისა და II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების ტაქტიკისაგან, რომლებსაც საპარლამენტო მოღვაწეობა პროლეტარიატის ბრძოლის მთავარ ფორმად მიაჩნდათ.

სათათბიროში ბოლშევიკების ტაქტიკის მიზანი იყო გლეხობის მიმხრობა, სათათბიროში მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენელთა რევოლუციური ბლოკის შექმნა, გლეხობის განთავისუფლება ლიბერალური ბურჟუაზიის გავლენისაგან. ბოლშევიკებმა სათათბირო გამოიყენეს როგორც ტრიბუნა რევოლუციური აგიტაციისათვის, თვითმპყრობელობის ყველა საზიზღრობისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის გამცემლობის მხილებისათვის, მენშევიკები კი ბლოკს კრავდნენ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასთან (კადეტებთან), ეხმარებოდნენ მას შეექმნა მასებში ილუზია, თითქოს შესაძლებელია „მშვიდობიანი“ გზით, სათათბიროს საშუალებით თავისუფლების მოპოვება და გლეხების მიერ მიწებზე მიღება.

სათათბიროში ბოლშევიკების მოღვაწეობის გამოცდილებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობისათვის. მას შემოქმედებითად იყენებენ საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები თავიანთი საპარლამენტო ტაქტიკის შემუშავებაში.

1905-1907 წლების რევოლუციამ ცხადყო, რომ ბოლშევიკებს ურთულეს პირობებში, კლასობრივი ძალების სწრაფად ცვალებადი თანაფარდობის პირობებში უნარი შესწევთ სწორად უხელმძღვანელონ მუშათა მოძრაობას, სათავეში ჩაუდგნენ მასების რევოლუციურ აღმავლობას და გაბედულად გაუძღვნენ მათ ბრძოლაში, უნარი შესწევთ საჭირო მომენტში რევოლუციურ ძალებს ააცილონ დარტყმის საფრთხე და მოამზადონ ისინი ახალი ბრძოლებისათვის.

ამავე დროს მენშევიკებმა თავი გამოამჟღავნეს როგორც მხდალმა რეფორმისტებმა, უარყვეს რევოლუცია, დაადგნენ ლიბერალურ-მონარქისტულ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობისა და ცარიზმთან შერიგების გზას.

15. ხალხის რევოლუციური წინააღმდეგობის ძალა იმდენად დიდი იყო, რომ ცარიზმმა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხებიდან მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ შეძლო ჩაეხშო რევოლუცია.

რევოლუციის დამარცხების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ვერ მოხერხდა მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების გამოსვლების ერთიან რევოლუციურ ნაკადად გაერთიანება. მუშებისა და გლეხების კავშირი რევოლუციაში ჯერ კიდევ მტკიცე არ იყო, გლეხობა მოქმედებდა ძალზე დაქსაქსულად, არაორგანიზებულად, არასაკმაოდ მტკიცედ; გლეხთა მნიშვნელოვანი მასები მაშინ ესერების გავლენას განიცდიდნენ. მემამულეთა წინააღმდეგ გლეხთა ყველაზე დიდი რევოლუციური გამოსვლები მოხდა მაშინ, როცა მეფის მთავრობამ უკვე მოახერხა რუსეთის სამრეწველო ცენტრებში რევოლუციის ძირითადი კერების ჩახშობა. გამოდიოდა რა მემამულეთა წინააღმდეგ, გლეხთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ ბედავდა მეფის წინააღმდეგ ბრძოლას, მას სწამდა, რომ შესაძლებელი იყო მეფის ხელით მიწის მიღება. ამან განსაზღვრა ქცევა არმიისა, რომლის უმრავლესობა მეფეს ეხმარებოდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური გამოსვლების ჩახშობაში, საკმაოდ ერთსულოვნად არ მოქმედებდნენ მუშებიც, რომელთა ცალკეული რაზმები დაგვიანებით ჩაებნენ საერთო ბრძოლაში. პროლეტარულ პარტიაში ერთიანობის უქონლობა, მენშევიკების გამცემლური მოქმედების შედეგად, თიშავდა მუშათა კლასის რიგებს და ამით ასუსტებდა მას როგორც რევოლუციის ხელმძღვანელ ძალას. ყოველივე ამის გამო პროლეტარიატმა მაშინ ჯერ კიდევ ვერ შეძლო მთლიანად შეესრულებინა რევოლუციის ნამდვილი ბელადის როლი და გამარჯვებამდე მიეყვანა რევოლუცია.

რევოლუციის ჩახშობაში თვითმპყრობელობას დაეხმარნენ უცხოელი იმპერიალისტები. ფრანგმა, ინგლისელმა, ავსტრიელმა და ბელგიელმა ბანკირებმა ცარიზმს მისცეს დიდი სესხი რევოლუციის ჩასახშობად. დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის მოსწრებული გამოთქმით, ეს იყო „იუდას სესხი“. კაიზერის გერმანია ამზადებდა სამხედრო ინტერვენციას რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ მისი წარმატების შემთხვევაში.

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც გამოიწვიეს რევოლუცია, კვლავ მოქმედებდნენ. ეს გარდუვალს ხდიდა ახალ რევოლუციურ აფეთქებას.

მენშევიკი-ლიკვიდატორებისა და მუშათა მოძრაობის სხვა მოღალატეებისა და რენეგატების იმ ცრუ წინასწარმეტყველების მიუხედავად, რომ რუსეთში ახალი რევოლუცია შეუძლებელიაო, ბოლშევიკები დაუცხრომლად ლაპარაკობდნენ როგორც დემოკრატიული რევოლუციის, ისე სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობაზე. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის პროლეტარიატი ხელმძღვანელობს „არა „ბუნდოვანი იმედით“, არამედ რევოლუციის განმეორების მეცნიერულად დასაბუთებული რწმენით“. (თხზ., ტ. 17, გვ. 282).

რეაქციის მძიმე პირობებში, ცარიზმის მხრივ მკაცრი დევნის ვითარებაში ბოლშევიკები მუშათა კლასის გარშემო რაზმავდნენ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს, ჰეიდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის მებრძოლ კავშირს, განამტკიცებდნენ რუსეთის ხალხთა ინტერნაციონალურ ერთიანობას, ამზადებდნენ მშრომელ მასებს თვითმპყრობელობაზე ახალი გადამწყვეტი შეტევისათვის, მემამულეთა და ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად ბრძოლისათვის.

### III.

16. რუსეთის პირველი რევოლუცია უდიდესი მოვლენა იყო რუსეთის ისტორიაში და მან უდიდესი გავლენა მოახდინა რუსეთის მთელ შემდგომ განვითარებაზე, ღრმა კვალი დატოვა ხალხის შეგნებაში. რევოლუციამ შეგნებული რევოლუციური შემოქმედებისათვის დარაზმა ხალხის უფართოესი მასები და გაამდიდრა ისინი ფასდაუდებელი პოლიტიკური გამოცდილებით. 1905-1907 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ გაჟღენთილი ბრძოლის მსვლელობაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა იმას, რომ შექმნილიყო ერთიანი რევოლუციური ფრონტი რუსეთის ჩაგრული ხალხებისა, რომლებსაც სათავეში ედგა რუსეთის გმირი პროლეტარიატი.

რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი ის იყო, რომ მეტად გაძლიერდა როლი პროლეტარიატისა, როგორც წამყვანი საზოგადოებრივი ძალისა, რომელიც გამოვიდა როგორც მშრომელი მასების ბელადი. პროლეტარიატმა • ლიბერალურ ბურჟუაზიას წაართვა ხალხის მასების ხელმძღვანელობა დემოკრატიული გადატრიალებისათვის ბრძოლაში და ამით დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის ეპოქაში რევოლუციის ბელადი შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა კლასი. რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ პროლეტარიატს უნარი შესწევს გახდეს საერთოდემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი იქაც, სადაც კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარების გამო პროლეტარიატი თავისი რაოდენობით ქვეყნის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს.

რევოლუციამ თვალსაჩინოდ დაადასტურა, რომ, თუ არ არის მუშათა კლასის ერთიანობა, შეუძლებელია ექსპლოატატორებზე გამარჯვების მიღწევა. რევოლუციის გაკვეთილებმა ცხადყო, რომ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ნამდვილი ხელმძღვანელისა და ბელადის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ მებრძოლ რევოლუციურ მარქსისტულ პარტიას, ახალი ტიპის პარტიას, რომელიც ძირეულად განსხვავდება II ინტერნაციონალის პარტიებისაგან.

რუსეთის პირველი რევოლუცია, თავისი ხასიათით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ამასთან ერთად იყო პროლეტარული არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარიატი გამოდიოდა რევოლუციის • ბელადად, არამედ იმიტომაც, რომ ბრძოლის პროლეტარულმა ფორმებმა და მეთოდებმა განსაზღვრეს მისი მსვლელობა და უმაგალითო გაქანება.

რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო მასობრივი პოლიტიკური გაფიცვების. როგორც მასების რევოლუციური მობილიზაციის საშუალების, უდიდესი მნიშვნელობა. პოლიტიკურ გაფიცვას — ამ ნაკად იარაღს, რუსეთის მუშათა კლასი იყენებდა თავის შემდგომ რევოლუციურ ბრძოლაშიც. პოლიტიკურმა გაფიცვამ შეიარაღებულ აჯანყებასთან შეხამებით, რაც პეტროგრადის

(დასასრული მე-3 გვერდზე).

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 18.

# რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი

## (თეზისები)

მუშებმა და ჯარისკაცებმა გამოიყენეს 1917 წლის თებერვალში, ხალხს შესაძლებლობა მისცა რამდენიმე დღის განმავლობაში დაემხო ცარიზმი. რევოლუციამ მუშათა კლასი გაამდიდრა შეიარაღებული აჯანყების გამოცდილებით, რომელიც ბოლშევიკებმა გამოიყენეს 1917 წლის ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და მოწყობის დროსაც.

1905-1907 წლების რევოლუცია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეის სასიცოცხლო ძალის პირველი ისტორიული შემოწმება იყო. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელიც ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ცარიზმისა და ბურჟუაზიის დამხობისათვის ბრძოლაში, სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესში, ახლა საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურყევობის ურღვევი საფუძველია, დიადი ძალაა სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცებისათვის, კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში.

ლენინის იდეა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ მკაფიოდ დაადასტურა დიდი ჩინელი ხალხისა და ევროპის და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა ისტორიულმა გამარჯვებებმა. მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელშიც წამყვანი როლი მუშათა კლასს ეკუთვნის, საფუძველი გახდა სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ძირეულ სოციალისტურ გარდაქმნებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

1905 წელს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა ისტორიაში პირველად პრაქტიკულად დასვეს პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის, ახალი, სახალხო ხელისუფლების საკითხი. რუსეთის პირველი რევოლუციის მსვლელობაში შექმნილი მუშათა დეპუტატების საბჭოები რუსეთის მუშათა კლასის უდიდესი ისტორიული მონაპოვარი იყო. საბჭოები იყო პირველსახე საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად. პირველი საბჭოების გამოცდილება ლენინისათვის გახდა ამოსავალი პუნქტი საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო ფორმის შესახებ მოძღვრების შემდგომი დამუშავებისათვის.

1905-1907 წლების რევოლუციამ გააშიშვლა ლიბერალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ბუნება, შეასუსტა მისი გავლენა, გამოიწვია დაკარგვა მისი პოლიტიკური რეზერვებისა და უწინარეს ყოვლისა გლეხობისა.

რუსეთის პირველი რევოლუციის მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ მან შეარყია არმია — ცარიზმის ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლები იყო ორი პოლიტიკური ხაზის — ბოლშევიკთა რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის ხაზისა და მისდამი დაპირდაპირებული მენშევიკთა ოპორტუნისტული ხაზის პრაქტიკული გამოცდა. რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა სისწორე ბოლშევიკების სტრატეგიული გეგმისა და ტაქტიკური ხაზისა, რომლებიც კომუნისტური პარტიის დამაარსებელმა და ბელადმა ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა.

17. რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციით დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქის რევოლუციური ბრძოლების პერიოდი. რუსეთის რევოლუციური მუშებისა და გლეხების მიერ ცარიზმისათვის მიყენებული დარტყმა ამავე დროს იყო მთელი იმპერიალისტური სისტემისათვის მიყენებული დარტყმა.

რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის მხურვალე თანაგრძნობა რუსეთის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლისადმი. საპროტესტო გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა მოედო ევროპის ყველა უდიდეს ქვეყანას.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწეები ა. ბებელი, კ. ლიბკნეხტი, რ. ლუქსემბურგი და სხვები მაღალ შეფასებას აძლევდნენ რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლას. კარლ ლიბკნეხტმა რუსეთის რევოლუციურ ამხებს უწოდა მობრუნების პუნქტი ევროპის ხალხთა ისტორიაში. იგი გერმანელ მუშებს მოუწოდებდა „დამდგარიყვნენ რუსეთის რევოლუციის დროშის ქვეშ“.

რუსეთის რევოლუციამ მძლავრი გავლენა მოახდინა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში. „რუსეთის რევოლუციამ, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება **მრავალი ასეული** მილიონი ადამიანის წინმსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას“. (თხზ., ტ. 23, გვ. 331).

ამრიგად, 1905-1907 წლების რევოლუცია მოწმობდა, რომ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრმა გადმოინაცვლა რუსეთში, ხოლო რუსეთის გმირი პროლეტარიატი მთელი მსოფლიოს რევოლუციური პროლეტარიატის ავანგარდი გახდა.

რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებმა ცხადყო, რომ საერთაშორისო რეაქციის მთავარი დასაყრდენი, დასავლეთში მუშათა მოძრაობისა და აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამხშობი იყო უკვე არა ცარიზმი, არამედ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც ცდილობდა ეხსნა ცარიზმი რევოლუციისაგან.

18. რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურმა პრაქტიკამ სერიოზული ლახვარი ჩასცა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს, დაადასტურა რა შემოქმედებითი მარქსიზმის დიდი სასიცოცხლო ძალა, ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის უდიდესი მნიშვნელობა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში.

რევოლუციამ გააკამტვერა II ინტერნაციონალის პარტიებს შორის გაბატონებული შეხედულებანი ბურჟუაზიულ რევოლუციებში ბურჟუაზიის ჰეგემონიის გარდუვალობის შესახებ და დაამტკიცა სიმართლე ლენინის მოძღვრებისა პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ. რუსეთის პირველმა რევოლუციამ უკუაგდო აგრეთვე II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებისა და რუსი მენშევიკების უაღრესად მავნე დოგმა გლეხობის რეაქციულობის შესახებ, იმის შესახებ, რომ პროლეტარიატს უნარი არ შესწევს გლეხობასთან კავშირში მოსპოს მემამულურ-კაპიტალისტური ჩაგვრა.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის ლენინურმა თეორიამ გააკამტვერა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტების დოგმა იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიულ და სოციალისტურ რევოლუციებს შორის უნდა იყოს შესვენების ხანგრძლივი პერიოდი, და ყველა ქვეყნის პროლეტარიატს გაუნათა კაპიტალისტური მონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზა.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიის გამარჯვება იყო. მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები შემოქმედებითად იყენებენ და ავითარებენ სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიას საკუთარი ქვეყნების პირობების თავისებურების გათვალისწინებით.

* * *

მეფის თვითმპყრობელობაზე პირველი რევოლუციური შეტევის დროიდან განვლილი 50 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და ყველა მშრომელმა სახელოვანი ისტორიული გზა განვლეს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის მუშათა კლასმა მშრომელ გლეხობასთან კავშირში მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შექმნა მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო და უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში. ამით საბჭოთა ხალხმა განახორციელა რუსეთის პირველი რევოლუციის მოწინავე მებრძოლთა იდეალები და ცხადყო, რომ მძიმე მსხვერპლს და თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია.

სამი რევოლუციის ცეცხლში, ჩვენს ქვეყანაში დიდი სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების განხორციელებისათვის ბრძოლაში, დიდი სამამულო ომის ბრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტია დღეს გამოდის როგორც საბჭოთა ხალხის ნაცადი ხელმძღვანელი მის ბრძოლაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლისათვის.

პარტია რაზმავს საბჭოთა ხალხს მძიმე ინდუსტრიის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის, მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის საფუძველთა საფუძველი, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ბაზა, მშრომელთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო. მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას, მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას.

კომუნისტური პარტია, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია ხალხთან და რომელსაც უსაზღვროდ სწამს ხალხის შემოქმედებითი ძალები, ავითარებს მასების შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, წარმართავს მათს რევოლუციურ ენერგიასა და ინიციატივას ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმისათვის.

კომუნისტური პარტია განმათავისუფლებელი ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე წმიდად იცავდა და ამრავლებდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა რევოლუციურ ტრადიციებს. ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის შთამაგონებელი მაგალითებით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით პარტია მშრომელებს ზრდის მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. პარტია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან, ავითარებს და ნერგავს საბჭოთა ხალხის მაღალ რევოლუციურ თვისებებს, ამაღლებს სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა შეგნებულობას.

საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყით გრძნობით ავლებენ თვალს განვლილი გზის დიდებულ შედეგებს. ჩვენი სამშობლო მტკიცედ მიდის წინ, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოდის როგორც პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯი.

რევოლუციის საქმე, რომლისთვისაც ნახევარი საუკუნის წინათ გაჩაღდა რუსეთის ხალხთა პირველი გმირული ბრძოლა, ახლა განუზომლად გაიზარდა და განმტკიცდა. ამას მკაფიოდ მოწმობს ის, რომ შეიქმნა და განმტკიცდა დემოკრატიული და სოციალისტური ბანაკი, რომლის ავანგარდშიც დგას საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა ხალხის რევოლუციური გამოცდილება, სსრ კავშირში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი აღაფრთოვანებენ კაპიტალისტური, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელ მასებს, რათა გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ მტკიცე მშვიდობისათვის, დემოკრატიული თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლებისათვის.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტი*

## 1905 წლის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად

რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ შეიმუშავა ლექციების ციკლი, რომლებსაც წაიკითხავენ საზოგადოების ლექტორები რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.

ლექციები შემდეგ საკითხებზეა: „1905-1907 წლების რევოლუცია რუსეთში იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციაა“, „რსდმპ III ყრილობა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“, „ბოლშევიკების სტრატეგია და ტაქტიკა რუსეთის პირველ რევოლუციაში“, „რუსეთის პირველი რევოლუციის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა“ და სხვ.

საზოგადოება გამოსაცემად ამზადებს დოცენტ ი. ხუციშვილის ლექციას „1905-1907 წლების რევოლუცია იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციაა“ და პროფესორ გ. ხაჭაპურიძის — „1905-1907 წლების რევოლუცია საქართველოში“.

**საამმართველოდან საწარმოში.** თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში სამმართველო აპარატიდან საწარმოში გადასულთა შორის ახალი პროფესიის ათვისებაში თავი ისახელა ელენე ბიაშვილმა, რომელიც ახლა დამოუკიდებლად მუშაობს ძაფსართავ მანქანაზე. **სურათზე:** ე. ბიაშვილი დაზგასთან.

ფოტო შ. გოქაძისა.

## კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის გახსნა

ორჯონიკიძე. (სპეც. კორ.). 16 იანვარს ჩრდილოეთ ოსეთის ფედერალურ ორჯონიკიძეში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა დიდი ოსი პოეტის კოსტა ლევანის-ძე ხეთაგუროვის ძეგლი.

ძეგლი, რომელიც აღმართულია თერგის მარცხენა ნაპირზე, შექმნილია ოსი მოქანდაკის ს. თავასიევისა და არქიტექტორ ი. გაინუტდინოვის მიერ.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. აგაკაცევმა, რსფსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ნ. სემინოვმა, ქართველმა პოეტმა ალიო მირცხულავამ, რუსმა პოეტმა ა. იაშინმა, ოსმა მწერალმა ნ. გაგლოევმა, ყაბარდოელმა მწერალმა ა. კეშიკოვმა და სხვ. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის სახელით გამოვიდა მწერალი ნ. ათაროვი, გროზნოს ოლქის მშრომელთა სახელით — პარტიის გროზნოს საოლქო კომიტეტის მდივანი ვ. ზაბოვი. კოსტა ხეთაგუროვისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ოსმა პოეტმა გ. კაითიკოვმა.

ძეგლის მარმარილოს პოსტამენტზე ოქროს ასოებით ამოჭრილია:

„ოსური ლიტერატურის ფუძემდებელს
კოსტა ხეთაგუროვს
1859-1906 წ. წ.
საბჭოთა კავშირის
მთავრობისაგან
1955 წ.“

ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელებმა და დელეგაციების წარმომადგენლებმა კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს.

იმავე დღეს საღამოს 7 საათზე საოლქო კომიტეტის სხდომის დარბაზში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც გახსნა ჩრდილოეთ ოსეთის მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ცაგარაევმა. კოსტა ხეთაგუროვის ლექსების ქართული თარგმანი და საკუთარი ლექსების რუსული თარგმანები წაიკითხა პოეტმა ალიო მირცხულავამ, ძალი ნაწარმოებები წაიკითხეს რუსმა პოეტმა ა. იაშინმა, პროზაიკოსმა ნ. ათაროვმა, დაღისტანელმა პოეტმა რ. გამზატოვმა, ოსმა პოეტებმა ხ. პლიევმა, ფ. გაფეზმა, გ. კაითიკოვმა და სხვ.

დასასრულ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოეთ ოსეთის საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

ფელეტონი

## ქარქაშულ ფიქრებზე

## გვარის დასახელებით

ვის არ უყვარს პაპანაქება სიცხეში ან შემოდგომაზე მსუბუქი ავტომანქანით გასეირნება. რა სჯობს თუნდაც ზამთრის დღეებში ახლად დათოვლილ ხეობაში „პობედით“ მგზავრობას.

ამას წინათ, კვირაღდეს, როცა მთაწმინდის კალთებს დილის მზის სხივები დაეფრქვა და მტრედვნა ჰაერში დაფარფატებდნენ, მეგობარმა მსუბუქი ავტომანქანით საამხედრო გზისაკენ გამაქროლა... „დინამოს“ სტადიონს რომ მივუახლოვდით, ავტომანქანების მაღაზიიდან ხმაური შემოგვეესმა, რასაც შემდეგ აყალმაყალიც მოჰყვა.

— რა ამბავია, ფეხბურთი ხომ არ არის? — ვკითხე მეგობარს.

— არც ნაკლებია, საინტერესოა ვინ გაიტანს, — წარმოთქვა მან და საუბარი რატომღაც სიტყვა „ავტოყალაპიებით“ დაიწყო. ის მომითხრობდა მსუბუქი ავტომობილებით სპეკულაციის აღმაშფოთებელ ფაქტებზე.

— შუბი ხალთაში რომ არ დაიმალება, ეს ვიცოდი, — განაგრძო ჩემმა მეგობარმა, — მაგრამ ავტომანქანები თუ ასეთი სპეკულაციის საგანი გახდებოდა, ეს კი არ მეგონა. არც თუ ცუდი ხასიათის ადამიანია შალვა ქობულაშვილი, ინჟინერი კაცია. თავის საქმესთან ერთად მეტისმეტად უყვარს ავტომანქანა. მას ხშირად ნახავთ ავტოინსპექციაში, ავტომობილების მაღაზიაში.

პირველად შალვამ „მოსკვიჩი“ სამი წლის წინათ შეიძინა. ორი თვეც არ გასულა, რომ ერთი ფერის მანქანა მეორემ შეცვალა.

— რა მოხდა, ავარიაში ხომ არ მოჰყვევი? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— არა, მანქანას საბურავები გაუცვდა, როგორც იტყვიან „ტაოტი გაეღუნა“, ნომერიც არა ჰქონდა იობლიანი, — ეშმაკურად ჩაიცარქილა ქობულაშვილმა.

რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ვხედავ, ქობულაშვილს ისევ გამოუცვლია ავტომანქანა.

— ბიჭო, ეგ რომელიღაა?

— რომელსაც ხედავ. ძმაბიჭებმა მანქანაც „შემაცვლევინეს“ და ნომერიც...

ჩემი მეგობარი გულისტკივილით განაგრძობდა: სრული სამი წლის შემდეგ ქობულაშვილს ისევ შევხვდი... დუშეთისაკენ მივდიოდი გზად. „მოსკვიჩმა“ ჩამიქროლა, შიგ მჯდომმა ხელი დამიქნია:

— მომყევი, დღეს მეშვიდე „მოსკვიჩს“ დავასველებთ, სუფრაზე ცოცხალი და ქინძმარაული მექნება. ერთი გვნახეთ, ვინა ვართ! — რიხით გადმომძახა, და მეც მივყევი.

მართლაც დალამდე გრძელდებოდა ყანწების ტრიალი, მალიმალ გაისმოდა შალვას მეგობრების შემოძახილი: „ათი გზა გვაქვს, ათივე შენკენ მოდის...“

დუშეთის გზაზე ავტომანქანები ყოველთვის შემოდგომის ბუზებივით ირევიან. ახლაც ზოგი აღმა მიჰქრის, ზოგიც დაღმა. ჩემმა მეგობარმა არაგვის პირას თვალი მოჰკრა ნაცნობს და ხმამაღლა გასძახა:

— მიხეილს ჩემი გოლტბილი სალამი! — ისიც გამოეხმაურა. შევჩერდით. ერთმანეთს გაესაუბრნენ.

— ყოჩაღ, ახალი „პობედა“ შეგიძენია! — ეუბნება ჩემი მეგობარი.

— რაღა ახალია, ერთი თვე გავიდა მას შემდეგ...

— კი, მაგრამ, შენ ხომ „მოსკვიჩი“ გქონდა?..

— ის უკვე გაფრინდა, — ღიმილით მიუგო მიხეილმა.

მათი საუბრიდან გავიგე, რომ ჩვენს ახალგაცნობილს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ყოფილ თანამშრომელს მ. ი. მანაშეროვს სამი წლის განმავლობაში ძმაბიჭების დახმარებით ცხრა მსუბუქი ავტომანქანა შეუძენია, აქედან რვა სხვადასხვა ნაცნობი თუ უცნობი „მეგობრებისათვის“ გადაუცია საზეიმო ვითარებაში, რა თქმა უნდა, სათანადო „გასამრჯელოს“ მიღებით. უკანასკნელი ავტომანქანა გამოეცალის სტადიონია, ფერი ალარ მომწონსო, ამბობს.

საღამო იყო, როდესაც თბილისს მივუახლოვდით. საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის მახლობლად შევჩერდით. ჩემი მეგობარი ვილაცას გამოელაპარაკა, შემდეგ მე მომიბრუნდა:

— ეგეც კარგი ბიჭია, — მითხრა ბრგე ვაჟკაცზე, რომელიც ტაქსის საჭეს მისჯდომოდა, ქუდი მაღლა აეწია და მგზავრის მოლოდინში ბაიათებს ღეროდა.

— ერთ დღეს სახელმწიფო ავტომანქანით დაჰქრის, მეორე დღეს საკუთარით დასეირნობს.

— თუ პატიოსანია, ალალი იყოს! — ვუპასუხე.

— რის პატიოსნება, — ჩურჩულით მითხრა მეგობარმა, — მძღოლი ზ. მ. ბარსლოვი უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ავტომანქანებს ისე ყლაპავს, რომ მათს კვალსაც ალარ ტოვებს.

მეგობარს ალელვება შეატყე, ის ახლა უკვე მოურიდებლად ლაპარაკობდა არტელას ფეხსაცმლის მკერავ გ. მ. ეგიაზაროვის და მოქალაქე კ. ი. გურგენიძის საეჭვო მოქნილობაზე, იმაზე, თუ როგორ შეიძინეს მათ ექვს-ექვსი ავტომანქანა და შემდეგ როგორ „დაუთმეს“ სხვებს მხოლოდ იმ საბაბით, რომ შემოდგომით ყავისფერი ავტომანქანა სჯობს, ზაფხულში კი რძისფერი... არიან სულმოკლე ადამიანებიც. ამას წინათ თბილრეკლამის ბრის გამფორმებელმა ა. ს. სტეფანიანმა, ისე იყო თუ ისე, „პობედა“ შეიძინა, რამდენიმე დღის შემდეგ კი რატომღაც ღვინის წერტის გამყიდველს გ. მ. რუაძეს „დაუთმო“.

ჩემმა მეგობარმა ისიც კი თქვა, რომ ავტომანქანების „მყლაპავთა“ შორის ზოგიერთი თანამდებობის პირიც არისო. სამწუხაროდ, მათი გვარები არ დაასახელა.

ღამით ისევ ავტომანქანების მაღაზიასთან მოვხვდით. აყალმაყალი კვლავ გრძელდებოდა. ოფლში გაწურული თერჯოლელი კოლმეურნე გულისწყრომით იძახდა:

— მოხვალ, შეხედავ, ავტომანქანები ბევრია, მაგრამ ისე ქრებიან, რომ თვალსაც ვერ მოჰკრავ...

— ასე იქნება მანამდე, სანამ ავტომანქანებით მოვაჭრეებს არ ალაგმავენ, — გაცხარებით წარმოთქვა იქვე მდგომმა თელაველმა კოლმეურნემ.

დიახაც რომ მიაგნებენ იოლი შემოსავლის წყაროს მოყვარულთ და მათ ხელისშემწყობთ, მიაგნებენ და მადას დაუკარგავენ. პასუხს მოსთხოვენ გადამყიდველებს, პატიოსან მშრომელს კი გულს ალარ ატკენენ.

ა. სხვაველი.

*კრიტიკა და ბიბლიოგრაფია*

## მოგონებანი დიდ რუს ხელოვანზე

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა გ. ტოპორკოვის წიგნი „სტანისლავსკი რეპეტიციაზე“. ეს წიგნი წარმოადგენს მოგონებებს დიდი რეჟისორისა და აქტიორის, თეატრის ცნობილი თეორეტიკოსის კონსტანტინე სერგის-ძე სტანისლავსკის შესახებ. ავტორი აგვიწერს დიდ რუს ხელოვანთან მის უკანასკნელ შემოქმედებითს შეხვედრებს, გადმოგვცემს სტანისლავსკის დიდ ოსტატობას.

ლაპარაკობს რა ძველი თეატრალური პედაგოგიკის ნაკლოვანებებზე, ავტორი სრულიადაც არ ამცირებს იმ დიდ მნიშვნელობას, რაც მაშინდელ თეატრალურ სკოლას ჰქონდა ჩვენი სასცენო კულტურის ზრდაში. „მე განზრახ ვამახვილებ ყურადღებას, — წერს ვ. ტოპორკოვი, — მაშინდელი პედაგოგიური სისტემის ნაკლოვანებებზე ჩვენი ცოდნის დღევანდელი პოზიციებიდან, რათა უფრო ხუსტად განვსაზღვრო ის ჭეშმარიტად გიგანტური ნახტომი, რაც გააკეთა სტანისლავსკის გენიამ, რომელიც თავის ძიებებში ეყრდნობოდა რუსული რეალისტური თეატრალური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელთა მდიდარ გამოცდილებას“ (გვ. 15).

სტანისლავსკისათვის მთავარი იყო ხელოვნების შინაარსის იდეურობა. მისთვის წარმოუდგენელი იყო სცენიური ნაწარმოების იდეის განხორციელება ცივი, ხელოსნური სამსახიობო ტექნიკით. იგი ოცნებობდა ისეთ არტისტულ ტექნიკაზე, რომელიც ღრმად ჩასწვდებოდა ადამიანის სულსა და გულს. მომავალი სპექტაკლის ფორმებისათვის ისე ბრავინ არ ზრუნავდა, როგორც სტანისლავსკი. ავტორი დაწვრილებით აგვიწერს, თუ სტანისლავსკის ხელმძღვანელობით როგორ მზადდებოდა კატაევის პიესა „გამფლანგველები“ მოსკოვის სამხატვრო თეატრში, როცა ვ. ტოპორკოვი ახლად მიწვეული იყო ამ თეატრში მოსკოვის კომედიის (ყოფილი კორშის) თეატრიდან და პირველად უხდებოდა ხელოვნებას დიდ და თვალსაჩინო ოსტატთან მუშაობა.

ავტორი დამაჯერებლად მოგვითხრობს, თუ რა უბრალო ხერხებით შეეძლო სტანისლავსკის მსახიობის შემოქმედებით შესაძლებლობათა გამოვლინება. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკუთარ თავში გრძნობების ძაგებიდან მსახიობის ყურადღების გადატანა სცენიური ამოცანის შესრულებაზე სტანისლავსკის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა იყო, რომელიც წყვეტდა მსახიობის ტექნიკის მნიშვნელოვან პრობლემას. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დიდი ხელოვანი მსახიობის შემოქმედებაში უარყოფდა ემოციურ მხარეს, პირიქით, ემოციურობის შესახებ იგი ყოველ ნაბიჯზე უქადაგებდა მსახიობს და ხელოვნების ქმნილება მხოლოდ მაშინ მიაჩნდა მაღალ ხელოვნებად, როცა მხატვარი მასში აქსოვდა ნამდვილ მგზნებარებასა და ცოცხალ ტემპერამენტს.

ტოპორკოვის სიტყვით, სტანისლავსკიმ მსახიობს აღუკვეთა საკუთარი გრძნობებით გატაცების შესაძლებლობა და მას ჭეშმარიტი, ადამიანური გრძნობების გამოძღვენების ყველაზე სწორი და ერთადერთი გზა დაუსახა, რომლის დანაშნულებაა სცენიური ამოცანის შესრულება.

სტანისლავსკისთან ტოპორკოვის შეხვედრების მოგონებებიდან ყველაზე საინტერესოა ნ. ვ. გოგოლის „მკვდარი სულების“ ინსცენირებაზე მუშაობის აღწერა, რადგან ამ სპექტაკლის მომზადებას სამხატვრო თეატრის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ადგილი უკავია. ტოპორკოვი თავის წიგნში ადადგენს გოგოლის ამ უკვდავი ნაწარმოების ინსცენირებაზე მუშაობის ყველა დეტალს და იმ დარღვევებს, რასაც სტანისლავსკი რეპეტიციის მსვლელობის დროს იძლეოდა. მანამდე „მკვდარი სულებს“ ინსცენირებას სცენაზე წარმატება არ ჰქონია (ეს ინსცენირება 100-ზე მეტი იქნებოდა), რადგან იგი დრამატურგიულად სუსტი იყო.

სტანისლავსკიმ ინსცენირებას, რომლის ავტორი მ. ა. ბულგაკოვი იყო, უწინარეს ყოველისა დრამატურგიული ღერო გამოუნახა. გადმოკეთებულ ნაწარმოებში ყველაზე უხეირო როლი იყო ჩიჩიკოვის სახე, რომელიც ბრწყინვალედ დაგვიხატა გოგოლმა. ეს როლი მსახიობის ყურადღებიდან იკარგებოდა. სტანისლავსკიმ სწორედ ჩიჩიკოვზე ააგო სპექტაკლის სიუჟეტური ხაზი, ინსცენირებაც ამ თვალსაზრისით შეცვალა და მსახიობებთან მუშაობამ შესაფერი მიმართულება მიიღო. ერთი სიტყვით, პიესის სიუჟეტური ხაზი გახდა „ჩიჩიკოვის კარიერა“. ჩიჩიკოვის როლს თვით წიგნის ავტორი ვ. ტოპორკოვი ამზადებდა.

წიგნში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ მზადდებოდა „მკვდარი სულების“ ცალკეული სურათები — „გუზერნატორთან“, „მანილოვთან“, „ნოზდრიოვთან“, „პლიუშკინთან“, „ყორობოჩკასთან“, „კამერალური“ სცენა და პარადული სცენა „მეჯლისი და ვახშამი გუბერნატორთან“.

სპექტაკლი „მკვდარი სულები“ კრიტიკამ არ მოიწონა, რადგან მაშინ სამხატვრო თეატრს ფორმალისტური მიმართულების თეატრს უპირისპირებდნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში ფორმალისტურმა თეატრებმა შეწყვიტეს არსებობა, სპექტაკლმა „მკვდარმა სულებმა“ კი, რომელშიც სტანისლავსკიმ თავისი გენიალური ოსტატობა ჩაქსოვა, საბჭოთა მაყურებლის სიყვარული და მოწონება დაიმსახურა.

სამხატვრო თეატრში კ. ს. სტანისლავსკის უკანასკნელი, დაუმთავრებელი ნამუშევარი იყო მოლიერის „ტარტიუფი“. როგორც წიგნის ავტორი აღნიშნავს, სტანისლავსკისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იყო როლზე მუშაობის ახალი, უფრო გაუმჯობესებული მეთოდის ძიება. ამიტომ იყო, რომ „ტარტიუფის“ მომზადებასას სტანისლავსკი ურჩევდა გამოჩენილ მსახიობებს ყველაფერი თავიდან ესწავლათ, რადგან სცენიური ხელოვნება, თუ მას მუდმივი განახლება და მზრუნველობა მოაკლდა, ჭკნება. მოგონებათა ავტორი სტანისლავსკის გვიხატავს როგორც დაუცხრომელ მძიებელ-რეფორმატორს, რომელიც მსახიობებთან ან რეჟისორებთან ყოველ შეხვედრას თავისი ახალი იდეების პროპაგანდისათვის იყენებდა. ეძებდა რა რეალისტური აქტიორული თამაშის უმაღლეს ფორმებს, სტანისლავსკი შემდგომ ავითარებდა რუსული თეატრის ტრადიციებს, რუსული თეატრისა, რომელიც ყველაზე მოწინავე და პროგრესულია მთელ მსოფლიოში.

წიგნი კარგი ქართული ენით უთარგმნია ვ. ჭუთათელაძეს. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მასში ზევრი უხეში კორექტურული შეცდომაა გაპარული. მაგალითად, რეპეტიციის ნაცვლად წერია „ჰერეტიცია“ (გვ. 38), წარჩინებულის მაგიერ „წარრინებული“ (გვ. 91), ნაცვლად სიტყვისა „ზეპირად“ — „ჰეზირად“ (გვ. 227) და სხვ.

წიგნი „სტანისლავსკი რეპეტიციაზე“ გაუადვილებს ჩვენს თეატრალურ ახალგაზრდობას სტანისლავსკის რეალისტური მეთოდის ათვისებას.

ნ. არღუნელი.

# უანგარო ძმური დახმარების მკაფიო გამოხატულება

## ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განცხადება

PRAHA, 20 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა საგენტო იუწყება:

19 იანვარს ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ განიხილა სსრ კავშირის მთავრობის წინადადება ატომის ენერგიის გამოყენების კვლევის განვითარების საქმეში ჩეხოსლოვაკიისთვის სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო დახმარების გაწევის შესახებ. ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა გულწრფელი მადლობის გრძნობით იღებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის წინადადებას.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობას ძალიან ჩეხოსლოვაკიის ხალხთან ერთად საკმაოდ შეგნებული აქვს, რომ შესანიშნავი შედეგები, რომლებსაც საბჭოთა კავშირმა მსოფლიოში პირველად მიაღწია მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში, საბჭოთა მეცნიერების უდიდესი ზრდის ნაყოფია. საბჭოთა მეცნიერება სოციალისტური წყობილების პირობებში ვითარდება ისეთი ტემპით, რომელიც შეუძლებელია კაპიტალიზმის დროს. შედეგები ნაყოფია თავდადებული გულმოდგინე შრომისა, რასაც ეწევა მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც ღირსეულად ასრულებს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ პროგრესის პიონერის დიდ ისტორიულ მისიას და დამაჯერებლად ცხადყოფს სოციალისტური სისტემის ამოსოლუტურ უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

საბჭოთა მთავრობის კეთილშობილური მოქმედება ახალი დამაჯერებელი გამოხატულებაა უანგარო ძმური დახმარებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ჩვენს ქვეყნის ხალხებს უწევს ბედნიერი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა მთავრობის წინადადება ამავე დროს გამოხატულებაა იმ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისა, რასაც ახორციელებს საბჭოთა კავშირი, რომელიც მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის უზრუნველყოფის ინტერესებისათვის შეუდრეკლად იბრძვის იმისათვის, რომ აიკრძალოს მასობრივი მოსსპობის იარაღი და რომ ატომის ენერგია — თანამედროვე მეცნიერების ეს გრანდიოზული აღმოჩენა — ემსახურებოდეს მშვიდობიან მიზნებს მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა მთავრობის წინადადების ძნიშნელობა ჩვენი მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო მეურნეობისათვის ფასდაუდებელია. ამრიგად, ჩეხოსლოვაკიას ეძლევა შესაძლებლობა ახლო მომავალში მიაღწიოს ატომფუოლის ფიზიკისა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის პრაქტიკული გამოყენების დარგში მეცნიერული კვლევის ისეთ დონეს, რომლის მიღწევასაც, ამ დახმარების მიუღებლად, შეეძლებოდით მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ და მძიმე გზის გავლით, ძვირადღირებული და შრომატევადი კვლევის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეცნიერება და მრეწველობა უადრესად განვითარებულია. საბჭოთა კავშირი ჩეხოსლოვაკიას ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ხუთი ათას კილოვატამდე თბოსიმძლავრის ექსპერიმენტული ატომის ქვაბებისა და ელემენტარულ ნაწილაკთა ამჩქარებლების დაპროექტებასა და აგებაში, მოწყობილობის მიწოდებაში. შემდეგ საბჭოთა კავშირი საჭირო რაოდენობით გამოუყოფს ჩეხოსლოვაკიას ხელჩად მასალებს ატომის ქვაბებისათვის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის.

საბჭოთა მთავრობის გრანდიოზული დახმარება ჩეხოსლოვაკიისადმი ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კვლევის განვითარებაში კიდევ უფრო განამტკიცებს და გაალამაზებს მთელი ჩეხოსლოვაკიის ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას ყველაზე საამედო და მახლობელი მეგობრისა და მოკავშირისადმი — საბჭოთა ხალხისადმი.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასთან შეთანხმების შემდეგ გადადგამს მისი ამ წინადადების რეალიზაციისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისი ეცნობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას.

# ჟოლიო-კიურის გამოსვლა

ВІЕНА, 20 იანვარი. (საკდესი). გუშინ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, წარადგინა რა ტექსტი მიმართვისა მსოფლიოს ხალხებისადმი ატომური ომის მზადების წინააღმდეგ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ განაცხადა:

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება გააჩაღოს ხელმოწერის შეგროვების ფართო კამპანია, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას მთელი მსოფლიოს პროტესტი გამოვთქვათ ატომური ომის მზადების წინააღმდეგ. იმ მიმართვის საფუძველზე, რომლის პროექტის შედგენა მე დამავალეთ, ეს კამპანია დაფუძნებული უნდა დაიწყოს და გაჩაღდეს. ამ პროექტის შესადგენად მე დახმარებისა და თანამშრომლობისათვის მოგმართეთ ბევრ თქვენგანს, და ჩვენ ყველს აღგაფრთოვანებდა იდეები, რომელნიც ორატორებმა გამოთქვეს ამ ტრიბუნიდან. ეს მიმართვა ჩვენ უნდა შეგვედგინა მარტივი, გასაგები ენით, რომელიც ნაკარნახევია ქალთა და მამაკაცთა სალი გონებით, რომლებსაც სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ და სწამთ კაცობრიობის მომავალი.

ნება მიბოძეთ, სანამ ამ ტექსტს წავიკითხავდე, მოგაგონოთ საწინააღმდეგო ზოსაზრებანი, რომელნიც გამოთქმულა ატომური ბომბის გაჩენის დღიდან. სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში იმ მოხსენების ფრაზები, რომელიც შეადგინა ამერიკელ მეცნიერთა კომიტეტმა — ჯეიმსის, ფრენკის კომიტეტმა — და რომელიც 1945 წლის 11 ივნისს — ხიროსიმამდე ორი თვით ადრე გაეგზავნა სამხედრო მინისტრს ვაშინგტონში. ამ მოხსენებაში, რომლის ავტორები ილაშქრებენ ომში ატომური ბომბის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, არის შემდეგი ფრაზები: „თუ შეერთებულმა შტატებმა პირველმა გამოიყენეს ადამიანთა წინააღმდეგ ბრმა ნგრევის ეს ახალი საშუალება, ისინი დაკარგავენ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას, დაიჩქარებენ გამაღლებულ შეიარაღებას და საფრთხეს შეუქმნიან ასეთ იარაღზე მომავალი კონტროლის შესახებ საერთაშორისო შეთანხმების უზრუნველყოფას“. შემდგომმა წლებმა ცხადყვეს მეცნიერთა ამ ჯგუფის გამჭრიახობა. სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები შეეცადნენ გაეფრთხილებინათ საზოგადოებრივი აზრი იმ საშიშროებათა წინააღმდეგ, რომლებიც ამ იარაღს მოაქვს. მართალია, ისინი ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივი აზრის განათლებას, მაგრამ მარტო მათ ვერ შეძლეს გამოეწვიათ ატომური ომის დაგმობისა და მის წინააღმდეგ პროტესტის ფართო მოძრაობა. ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ის არის, რომ 1950 წელს სტოკჰოლმში მან დიდი კამპანია გააჩაღა ატომური იარაღის აკრძალვისა და მასზე მტკიცე კონტროლის დაწესებისათვის. უდავოა, რომ სტოკჰოლმის მოწოდებამ, რომელმაც ესოდენ დიდი გამოხმაურება პოვა, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა, ხელი შეუშალა რა ატომური ბომბის გამოყენებას აზიაში.

მთავრობებმა, რომლებსაც სურთ თავიანთი საერთაშორისო პოლიტიკა დაამყარონ ატომური იარაღის გამოყენებას, იციან, რომ ისინი იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს. სწორედ ამიტომ ისინი, აწყობენ და ამზადებენ რა ატომურ ომს, ცდილობენ მარჯვე მანევრების საშუალებით დაფარონ თავიანთი ოპერაციები. გადაწყვეტილებანი, რომლებიც გასული წლის დეკემბერში მიიღო ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭომ, წარმოადგენენ ერთ-ერთ ასეთ მანევრს. საქმე ეხება მეტად სერიოზულ აქტს, რომელიც ჩვენ უნდა ვამხილოთ. ამ მთავრობებს სურთ მოადუნონ საზოგადოებრივი აზრის ყურადღება იმის საშუალებით, რომ მსჯელობენ ამ იარაღის გამოყენების ფორმებისა და იმ ორგანოების ხასიათის შესახებ, რომლებიც იკისრებენ ინიციატივას ატომური ომის გაჩაღებაში, თითქოს ატომური ომის გამოყენების თვით პრინციპი უკვე მიღებული იყოს. ჩვენ ცხადად უნდა გვეჩვენებინა ეს ახალი ელემენტი და ახლავე მოგვეწოდებინა ხალხებისათვის წინააღმდეგობა გაუწიონ იმათ, ვინც ამგვარად აწყობს ატომურ ომს.

არ უნდა დაველოდოთ ბრმა ძალების ასეთი ომის გაჩაღებას, რათა დავუმოთ მისი ინიციატორები. საჭიროა ახლავე გავუწიოთ წინააღმდეგობა იმათ, ვინც მას ამზადებს. სიცოცხლისადმი სრულიად ელემენტარული მისწრაფება და მოყვასისადმი სიყვარული გვაიძულებს მოვითხოვოთ ყველა ქვეყანაში ატომური იარაღის მარაგის მოსპობა და მისი წარმოების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. სიცოცხლისადმი ეს მისწრაფება და მოყვასისადმი სიყვარული ხვალ თვითეულ ქვეყანაში, თვითეულ ქალაქში, თვითეულ ქოხში აღაფრთოვანებს ათასობით ქალსა და მამაკაცს, რომლებიც ივლიან კარდაკარ, სახლიდან სახლში, საამქროებსა და მინდვრებში, შეაგროვებენ ხელმოწერას ჩვენს მიმართვაზე და, ამრიგად, შეიქმნება ყველაზე მძლავრი დაბრკოლება ატომური ომის გზაზე“.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სხდომა

BERLINI, 21 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა სსბ-ის სხდომის შესახებ, რომელიც ბერლინში გაიმართა 1955 წლის 20 იანვარს. სხდომამ განიხილა სსრ კავშირის მთავრობის 1955 წლის 15 იანვრის განცხადება გერმანიის საკითხზე. კომუნიკეში ნათქვამია, რომ მინისტრთა სსბ-მ მოიწონა საბჭოთა მთავრობის განცხადება და აღნიშნა, რომ ეს განცხადება საგანგებით შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და მთელი გერმანელი ხალხის თვალსაზრისსა და მისწრაფებებს.

სხდომამ განიხილა აგრეთვე „საოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 4 თებერვლის დადგენილების შესრულების საკითხი, აგრეთვე განიხილა და მოიწონა რეკომენდაციები და ღონისძიებანი, რომლებიც მინისტრთა საბჭოს წარუდგინა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივების თავმჯდომარეებისა და აქტივისტების III კონფერენციამ.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განცხადება

BERLINI, 21 იანვარი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო გადმოგვცემს:

გერმანიის საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადებასთან დაკავშირებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შემდეგი განცხადება გააკეთა:

„გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 20 იანვრის სხდომაზე განიხილა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის 1955 წლის 15 იანვრის განცხადება გერმანიის საკითხზე.

მინისტრთა საბჭო მიესალმება საბჭოთა მთავრობის განცხადებას, რომლის ყველა პუნქტი შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თვალსაზრისსა და მისწრაფებებს და მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს.

მინისტრთა საბჭო მთელი ძალით აღნიშნავს, რომ სრულიად გერმანიის თავისუფალ არჩევნებს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს გერმანიის გაერთიანებისა და საზავო ხელშეკრულების დადებისათვის. მინისტრთა საბჭო ყოველთვის მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება სრულიად გერმანიის საარჩევნო კანონის შემუშავებაზე, რის შესახებ მას არაერთხელ წამოუყენებია წინადადება, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიწყოს ასეთი მოლაპარაკება, სანამ იგი უსაფრთ გახდებოდეს პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შედეგად. იმისათვის, რომ მოისპოს ყველა სიძნელე, რომელიც კი ხელს უშლის შეთანხმებას სრულიად გერმანიის თავისუფალ არჩევნების მომზადებისა და მოწყობის შესახებ, მინისტრთა საბჭო საქმესებით ნათლად აცხადებს, რომ იგი ეთანხმება საბჭოთა მთავრობის წინადადებას სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ. მტკიცდება, რომ შეთანხმება შეუძლებელია, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან გერმანელმა ხალხმა სრული თავისუფლების ატმოსფეროში თვითონ უნდა გადაწყვიტოს გაერთიანებული გერმანიის სახელმწიფო წყობილების საკითხი.

მინისტრთა საბჭოს ამ პოზიციას განსაზღვრავს მისწრაფება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციამდე გამოყენებულ იქნას გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების ყველა შესაძლებლობა.

ასეთია გერმანიის გაერთიანების მშვიდობიანი და დემოკრატიული გზა. მაგრამ მინისტრთა საბჭო მთელი სიმტკიცით აცხადებს, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია გზას გადაუღობავს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას.

დასავლეთ გერმანიის მთავრობის მტკიცება, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემდეგაც შესაძლებელია მოლაპარაკება გერმანიის გაერთიანების შესახებ, საზოგადოებრივი აზრის უხეში დეზორიენტაციაა, რაც გამოწვეულ გერმანიისათვის საბედისწერო მცდარ გადაწყვეტილებას.

თუ დასავლეთ გერმანიის მთავრობამ განაგრძო პარიზის შეთანხმებათა პოლიტიკა და უარი თქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადებაზე — რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას შეთანხმება სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის შესახებ, ამით დასავლეთ გერმანიის მთავრობა აიძულებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას განიხილოს და მომზადოს საგანგებო ღონისძიებანი მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და საბჭოთა კავშირთან თავისი მეგობრული ურთიერთობის საფუძველზე.

მთელი პასუხისმგებლობა სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობისა და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ შეთანხმების ჩაშლისათვის დაეკისრება იმას, ვინც პარიზის შეთანხმებებს დაამტკიცებს. ყოველი ადამიანი გერმანიაში ნათლად უნდა ხედავდეს და იცოდეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ყოველ ღონეს ხმარობს ახლა და მომავალშიც ყოველ ღონეს იხმარს გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესების დასაცავად და უზრუნველსაყოფად“.

# საფრანგეთის რესპუბლიკის საბჭოში

PARIZI, 20 იანვარი. (საკდესი). გუშინ რესპუბლიკის სბ-ის საგარეო საქმეთა და ეროვნული თავდაცვის კომისიებმა დაიწყეს პარიზის შეთანხმებათა შესახებ მოხსენებების პირველი განხილვა. საგარეო საქმეთა კომისიამ მოისმინა თავისი თავმჯდომარის მარსელ პლეზანის ცნობა, რომელმაც განაცხადა, რომ მთავრობის მეთაური მენდეს-ფრანსი მოიფიზიკა, რომ 13 თებერვალს დამთავრდეს რესპუბლიკის სბ-ში პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტის განხილვა. ამის პასუხად კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ შეუძლებელია კამათის დაწყება 3 თებერვალზე ადრე. კამათის დაწყების თარიღის საკითხი გადასწყვეტი დარჩა.

გაზეთებს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკის სბ-ში საერთო ვითარება სულ უფრო არახელსაყრელი ხდება მთავრობისათვის. რესპუბლიკის სბ-ის წევრების მერყეობა აიხსნება იმით, რომ მომდინარე წლის ივნისში უნდა მოხდეს სბ-ის წევრთა ნახევრის არჩევნები, და ბევრთათვის ეშინია, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისათვის ხმის მიცემა შეიძლება მოასწავებდეს მათთვის საპარლამენტო მოღვაწეობის დასასრულს. ზოგიერთ წრეში თავს იჩენს მისწრაფება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას დაურთონ მთელი რიგი შენიშვნები.

ამბობენ რა ამგვარი ტენდენციები, მენდეს-ფრანსი ცდილობს, რომ შენიშვნები წარმოადგინონ არა რატიფიკაციის შესახებ კანონპროექტის შესწორებათა სახით, არამედ უბრალო რეზოლუციის სახით, რომელიც შეიცავს „სურვილებს“. საკითხის ამ ერთი შეხედვით პროცედურულ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან პარლამენტის რეგლამენტის თანახმად რესპუბლიკის სბ-ს მიერ შესწორებათა შეტანა გამოიწვევს კანონპროექტის ხელახლა განხილვას ეროვნულ კრებაში, მაშინ როცა რეზოლუცია „სურვილებით“ არ მოითხოვს კანონპროექტის ხელახლა განხილვას პირველ პალატაში.

# საფრანგეთის მთავრობის რეორგანიზაცია

PARIZI, 21 იანვარი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტომ გადმოსცა, რომ მინისტრთა სბ-ის თავმჯდომარემ მენდეს-ფრანსმა გამოაცხადა ცვლილებანი მთავრობის შემადგენლობაში. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნულია ედგარ ფორი; ფინანსთა, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრად — რობერ ბიურონი; ეროვნული თავდაცვის მინისტრად — ჟაკ შეკალე; შეიარაღებული ძალების მინისტრად — ბურეეს-მონფორი; იუსტიციის მინისტრად — ემანუელ ტამპლი; უპორტფელო მინისტრად გერენ დე ბომონი; ზღვისგაღმა ტერიტორიების საქმეთა მინისტრად — ეიუგლასი; სავაჭრო ფლოტის მინისტრად — შმიტლეინი.

# მოლდავეთის საგუნდო კაპელა „დოინა“ თბილისში

„დოინა“ მოლდაველ ხალხში ყველაზე გავრცელებული ორნაწილიანი სიმღერაა. საერთოდ „დოინები“ ბევრია და მათი შინაარსი მრავალფეროვანია. ეს სიმღერის ის სახეა, რომელშიც მოლდაველი წარსულში დასტიროდა თავის ბედს, სწყევლიდა მჩაგვრელებს, გამოთქვამდა ნათელი მომავლის იმედს და მოუწოდებდა ბედნიერებისათვის ბრძოლაკენაკენ. ახლა „დოინა“ უმღერის ახალ ბედნიერ და შეძლებულ ცხოვრებას.

სწორედ ეს სახელი — „დოინა“ ეწოდება მოლდავეთის უძველეს საგუნდო კაპელას, რომელსაც არსებობის 24 წლის ისტორია აქვს. იგი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთაც ფართოდ ცნობილი კოლექტივია. ამჟამად იგი საგასტროლოდ იმყოფება ჩვენს რესპუბლიკაში.

ქართველმა საზოგადოებრიობამ „დოინა“ გაიცნო 1951 წელს, მისი პირველი გასტროლების დროს. კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია კაპელის მეორედ ჩამოსვლამ.

ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივის მხატვრული ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორია მოლდავეთის სსრ და თურქმენეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. კონონენკო, მთავარი ხორმეისტერ-დირიჟორია მოლდავეთის სსრ დამსახურებული არტისტი მ. ბრეზდენიუკი, ბორმეისტერი — გ. სტრეზევი. კოლექტივის რეპერტუარშია 200-ზე მეტი საგუნდო ნაწარმოები, აქედან 100-ზე მეტი მოლდავური სიმღერა.

კაპელამ 21 და 22 იანვარს თბილისში გამართა ორი კონცერტი — რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში და თბილისის ოფიცერთა სახლში. კონცერტებზე კაპელამ უჩვენა შესრულების მაღალი მხატვრული დონე. მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მოლდავურმა ხალხურმა სიმღერებმა „აი ასე“, „მარიცა“, „ქალიშვილი მარია“, „მტრედი“, რუსულმა ხალხურმა სიმღერებმა, ქართულმა ხალხურმა სიმღერამ „ცანგალა და გოგონა“, შუმანის „ოცნებამ“, საგუნდო სიმღერამ გლინკას ოპერიდან „ივანე სუსანინი“ და სხვ.

წარმატება ხვდათ კაპელის სოლისტებს მოლდავეთის სსრ დამსახურებულ არტისტს ვ. მომჩევს და მ. ჩილიპიკს სიმღერისათვის „საკოლმეურნეო რაპსოდია“, ა. ბალტაგას რუმინული ხალხური სიმღერისათვის „ჩემო ამაყო“, მ. უიტკოვას სიმღერებისათვის „ახალი დოინა“ და ზანგური „ივანანა“ და სხვ.

კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში არიან ა. ბალტაგა, ვ. მომჩევი, ზ. შერი და ლ. როძევილოვსკი, დიდი წარმატებით შეასრულა სერენადა „ძვირფასო, ადექი“, ბოროდინის „ოთხი კავალერის სერენადა“ და სხვ.

„დოინას“ მრავალფეროვანი პროგრამის შემცველი კონცერტებით ქართველი მაყურებელი გაეცნო მოლდაველი ხალხის საგუნდო-ვოკალურ ხელოვნებას.

21 იანვარს დღისით საქართველოს სახელმწიფო კაპელამ ფილარმონიაში სტუმრებს მოუწყო შემოქმედებითი შეხვედრა. საქართველოს კაპელამ შეასრულა მოცარტის „რეკვიემი“ და ქართული სიმღერები, რომელთაგან სტუმრებმა ამოარჩიეს რამდენიმე სიმღერა თავიანთ რეპერტუარში შესატანად. სტუმრები საქართველოს კაპელას საჩუქრად გადასცემენ რამდენიმე მოლდავურ სიმღერას.

„დოინა“ თითო კონცერტს გამართავს ქუთაისსა და სოხუმში.

Ბ. ძნელაძე.

სურათზე: მოლდავეთის საგუნდო კაპელა „დოინა“, დირიჟორობს მ. კონონენკო.

ფოტო შ. გოქაძისა.

# უცხოელი მწერლები საქართველოში

საქართველოში ხუთ დღეს იყვნენ ინდოელი დრამატურგი ბალვანტ გარგი, სირიელი მწერალი, არაბ მწერალთა კავშირის მდივანი მაჯაჰბ ალ-ქაიალი და ლიბანელი მწერალი ჰუსეინ მურუეე, რომლებიც როგორც სტუმრები მონაწილეობდნენ საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობაზე.

უცხოელი ლიტერატორები გაეცნენ რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებას. ისინი ეწვივნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანას, სადაც დაინტერესდნენ წარმოების ორგანიზაციის საკითხებით, მუშათა შრომის პირობებით. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუმრები ესაუბრნენ სემიტოლოგიის კათედრის გამგეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პროფესორ გ. წერეთელს. მან უამბო სტუმრებს, თუ როგორ არის დაყენებული სწავლა უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, პასუხი გასცა მწერლებს კითხვებზე.

უცხოელი ლიტერატორები შეხვდნენ ქართველ მწერლებს. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი ი. აბაშიძე ესაუბრა მათ ქართული საბჭოთა ლიტერატურის შესახებ.

უცხოელმა მწერლებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ქალაქგორში, სადაც ინახულეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

19 იანვარს ბალვანტ გარგი თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრა. მაჯაჰბ ალ-ქაიალი და ჰუსეინ მურუეე სოხუმს გაემგზავრნენ. (საკდესი).

## საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

24 იანვარს საღამოს 8 საათზე საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება ლექცია თემაზე: „მატერიალური დოვლათის წარმოების წესი გადამწყვეტი ძალაა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების სისტემაში“. ლექტორი ფილოსოფიის მეცნიერების კანდიდატი მ. ნუშაძე.

## მაცნობება

„კომუნისტის“ 22 იანვრის ნომერში პირველ გვერდზე გამოქვეყნებული თეზისების მესამე სვეტის მეორე აბზაცი (ზემოდან) უნდა იკითხებოდეს: „4. რუსეთში რევოლუციის გაჩაღება დაჩქარა რუსეთ-იაპონიის 1904-1905 წლების ომმა — იმპერიალისტური ომების ეპოქის ერთ-ერთმა პირველმა ომმა“. და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი ნ. ჯაში.

ახალი აბრით ნახ. მ. ოთარაშვილისა.

მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა გეგმა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა „ევროპის არმიის“ აბრით, ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ ეს გეგმა პარიზის შეთანხმებათა საშუალებით განახორციელონ.

(გაზეთებიდან).

## დღეს

### თბილისის თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — სამშობლო (დილას), ესპანელი მდედელი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — ცოცხალი პორტრეტი (დილა-საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარის დაუსახელებლად (დილას), ტურბინთა დღეები (საღამოს), **სომხური დრამის** — ალისფერი ყვავილი (დილას), მშობლიური ქვეყანა (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — სალხინობელი (დილას), ორი რეკორდი (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ეს მოხდა მოსკოვში (აბონემენტი № 11, 11 ს.), ანდროს ოტენა (აბონემენტი № 24, 5 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (11 ს.), რიბაკოვის შვილი (8 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები** — ვინ არის დამნაშავე, **კომკავშირელი, კოლხიდა** — ბაიკუ ბავრა, **დიდუბე, ოფიცერთა სახლი** — ერთგულების გამოცდა, **თბილისი** — გაზაფხულის დღეები, **კოლმეურნე** — შიკის გმირები, **კიროვის სახელობის პარკი** — გიორგი საკაძე (I და II სერია), **გორკის სახელობის პარკი** — მზითვიანი ქორწილი, **კომუნარების ბაღი** — სათადარიგო მოთამაშე.

**ДИСЕРТАЦИИЗЕ ДАЗВА**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1955 წ. 1 თებერვალს № 93 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

დღის 12 საათზე

**მარგარიტა ივანეს ასული მუსხელიშვილი**

**თემაზე: „К вопросу о сложных словах в английском и грузинском языках (параллели)“.**

დღის 2 საათზე

**თინათინ შალვას ასული სანიკიძე**

**„საშუალო ინგლისური ენის რთული სიტყვები“ (ძირითადად ჯ. ჩოსერის და უ. ლენგლენდის ნაწარმოებების მიხედვით).**

2 თებერვალს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში

**მარიამ ნიკოლოზის ასული ორემგოვსკაია**

**თემაზე: „ing форма в современном английском языке“**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

**ОПЕРИСА ДА БАЛЕТИС ТЕАТРИ**

23 იანვარს

დღის 12 საათზე

**ზ. ფალიაშვილი—ДАИСИ**

**დავით გამრეკელის** მონაწილეობით

საღამოს

**ლ. მინკუსი—ДОН КИХОТИ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**САБИРОЛА МЕДХАНАДРЕ**

პირობებისათვის მიმართეთ: ლენინის ქ. № 14, III სართული, გამომცემლობა „კომუნისტის“ დირექცია.


მეუღლე შალვა, შვილი ციცინო ოჯახით იუწყებიან

**მარიამ სილოვანის ასულ გეწაძე-ვარდანაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I ტყიბულში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის მე-5 შესახვ. № 8.

მეუღლე ანა, შვილი ვანო ოჯახით იუწყებიან

**დავით ნიკოლოზის-ძე უთურგაიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I სოფ. ქვემო ალვანში (ახმეტის რაიონი).

შვილი ქსენია და ტატიანა იუწყებიან

**ვასილ გიგოს-ძე სურმავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-I სოფ. სერგიეთში (ბეგეჯაკორის რაიონი).

მშობლები ნადია და დმიტრი ოჯახით იუწყებიან

**კალენიკე დიმიტრის-ძე ჭელიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-I სოფელ ზედა ბახვში.

მეუღლე სიმონ, შვილი ნიკოლოზ იუწყებიან

**ელენე ვარლამის ასულ ნეფარიძე-გოგოლაურის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-I, 4 ს. ლეპოს ქ. № 11.

მეუღლე ნასტია, შვილები ასმათ, ბიჭიკო იუწყებიან

**გიგა დიმიტრის-ძე ახმეტელის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-I, 3 ს. წითელი ქ. № 9.

შვილი კატუშა ოჯახით იუწყება

**ლიდა კარლოს ასულ ცეცხლაძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 23-I, 3 ს. უნივერსიტეტის, ქ. № 29.

მშობლები ზაქარია, ეკატერინე, მეუღლე ელენე, შვილები ეთერ, გივი, ლეილა იუწყებიან

**მიხეილ ზაქარიას-ძე ჩიჯავაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 8 ს. გამოსვენება 25-I, 4½ ს. რაფ. ერისთავის ქ. № 8.

მამა ანდრო, მეუღლე თამარ, შვილები ეთერ, გივი იუწყებიან

**ივანე ანდრიას-ძე გოგშელიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 8 ს. გამოსვენება 25-I, 4 ს. ხუდადოვის ქ. № 2.

მშობლები კატუშა და ნესტორ ოჯახით იუწყებიან

**თამაზ ნესტორის-ძე სანადირაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-I, 6 ს. გამოსვენება 25-I, 4 ს. იოსელიანის ქ. № 40 (საბურთალო).

**მოქალაქე გარეგინ პანასის-ძე არუთინოვმა, მცხოვრებმა შამქორის ქ. № 1. აღძრა საქმე ნადიკვრის ქ. № 11 მცხოვრებ მოქალაქე მარიამ პოღოსის ასულ ავეტისიანთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.**